

ბათიაშვილი გურამ

შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა

დრამა ორ მოქმედებათ

მოქმედების დრო – 1832 წლის დეკემბერი  
ადგილი – თბილისი

## მ ო ქ მ ე დ ი    პ ი რ ე ბ ი

ნიკოლოზ ფალავანდიშვილი-	თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი
იასე ფალავანდიშვილი-	ამისი უმცროსი ძმა, კოლეჟსკი რეგისტრატორი
ელიზბარ ერისთავი	თავადი, კორნეტი
სოლომონ დოდაშვილი	თბილისის სემინარიუს მასწავლებელი,
პაუშენკო	დუშეთის ისპრავნიკი, ტიტულიარნი სოვეტნიკი
პეტრე ზავილეიცი წლის -	თბილისის ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი, 60
ჯამბაკური	მოხუცი გენერალი
დესპანი	ოსმალეთისა
ოფიცერი	
ხანდილა ვანო	ქმსახურნი ფალავანდიშვილისა
ბერი ფილალდელფოს	

## მოქმედება პირველი

სიმშვიდის მომგვრელი, მყუდრო ქაშუეთის უკან დგას ნიკოლოზ ფალავანდიშვილის დიდი სახლ-კარი. თითქოს ეს სიმშვიდე და მყუდროებაც ამ სახლს ქაშუეთისაგან გადმოედო, დინჯად გაჰყურებს ახალი ცხოვრების ტალღებს მინებებულ ქალაქს.

თბილისის გენერალ-გუბერნატორის გარინდული, თითქოს მოვლემარე სახლის ფანჯრებს ღეკემბრის ბინდი შემოსწოლია. ამიტომაც ვერ შევნიშნეთ ვანო. უხმოდ რომ დააბიჯებს დიდ, ბინდგამეფებულ დარბაზში. ჭალებს ანთებს და შუქიც ნელ-ნელა მატულობს. ამ სინათლემ თითქოს სითბოც მოიტანა თან, სადღაც განიდევნა ღეკემბრის ცივი საღამოს სუსხი.

დარბაზი რომ განათდება, გაშლილი სუფრაც გამოჩნდება, უხმოდ შემოდის ხანდილა. ხელში ჭურჭელი უჭირავს. სუფრას დასტრიალებს – ხან რაღაცას შემატებს, ხან სკამს გაასწორებს, ხანაც – თეფშებს, სინებს, ყანწებს შეუცვლის ადვილს.

ვანო. რას შვრები, ხანდილ!

ხანდილა ხმას არ იღებს.

რას შვრები-მეთქი, გეკითხები, ხანდილ!

ხანდილამ არც ახლა გასცა პასუხი, ფიქრში ჩაძირული დასტრიალებს სუფრას.

სიმუნჯე ხო არ გადაყლაპე, კაცო!

ხანდილა. რა გინდა, რას ჩამაცივდი, იცი როგორა ყინავს გარეთა?

ვანო. ყინავდეს მერე, შენ რასა გთხოვს!

ხანდილა. ეე... (ხელს აიქნევს და კვლავ სუფრას მოუბრუნდება.)

ვანო. შენ რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის-მეთქი, გეკითხები.

ხანდილა. ჯალაბი რო სიცივესა და სიცარიელეში გეყოლება, შენ რა კარგ გუნებაზე იქნები, რაღა!

ვანო. ჰოო... ეგ კი მართალი თქვი.

ლუმილი. ორივე თავის საქმეს მიუბრუნდება.

ხანდილა (თითქმის თავისთვის). ე ბატონიც როგორა ჯავრობს დღესა...

ვანო. ბატონი იმითვინ არი, რო იჯავროს, შენ რა გენადვლება!

კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდებიან.

მაინც რაღა ჯავრობს?

ხანდილა მხრებს აიწურავს – მე რა ვიცი რატომ ჯავრობსო

ხანდილა. რას ჩამაცივდი, კაცო? ჟავრობს და ჯავრობს!

ვანო. ჰოდა, მეც მაგას გეკითხები, რაღას-მეთქი.

ხანდილა. მე რა ვიცი, რო... ისეთ ამბავშია, ლამის ეს ამხელა სახლ-კარი ფეხქვეშ მოიგდოს. რაც გენერალი ჭავჭავაძე გაისტუმრა, ოთახში ჩაიკეტა და გახვითქული ცხენივით მიმორბის იქით-აქეთა, ვინ არ მოვიდა, ვის არ უნდოდა საუბარი, ერთი აფიცერი აქლოშინებული მოვარდა, ძლიერ სასწრაფო საქმე მაქვსო, მაგრამა...

ასეთი რა მოხდა?

**ხანდილამ მხრები აიჩეჩა.**

კი, მაგრამ... აბა, ეს? (სუფრაზე მიუთითა)

**დუმილი**

ვითომ რა უნდა იყოს? აა? ვერაფერს ხვდები?

**ხანდილამ კვლავ მხრები აიჩეჩა.**

კაცო, შენ მართლა მუნჯი ხო არ გადაყლაპე, მხრებით რო მელაპარაკები? ხმა ამოიღე!

**ხანდილა.** მე რას შემომიჩნდი, რა! ბატონის გულის ბალიში ხომ არა ვარ, რო მისი რამე-რუმე ვიცოდე.

**ვანო.** თუ ეგრე ჯავრობს, სუფრის გაშლა რაღად ბრძანა-მეთქი?

**ხანდილა.** არ ვიცი, კაცო, არ ვიცი და ეგ არი! აი, რომ ძალიან გაცეცხლდა, ჯერ თავის ძმას დაუძახა იასესა, უყვირა და უყვირა, მერე კი ექვსი კაცისთვის სუფრაო, ბრძანა.

**ვანო.** გაცეცხლებულმა?

**ხანდილა.** გაცეცხლებულმა. ჰო გაცეცხლებულმა...

**ვანო.** მაშ, ბრაზიან გულზე ქეიფი მოუნდა?

**ხანდილა.** ვერა ხედავ? ბრაზიან გულზე...

**ვანო** (ჩაფიქრებული). ჰოო...

**ხანდილა.** რაო, ჩახვდი რამესა?

**დუმილი.**

ჩახვდი-მეთქი, თუ...

**ვანო ხმას არ იღებს.**

**ხანდილა.** ჰა, ახლა შენ გადაყლაპე მუნჯი?

**დუმილი.**

ე კაცო, გამაგებინე, ჩახვდი რამეს, თუ...

**ვანო.** ჩახვდი, როგორ არ ჩახვდი, ჯავრიან გულზე ქეიფიც ახალი მოდაა. ხედავ, რამდენი რამე მოიტანა ახალმა ცხოვრებამ?

**კარზე ზარს ჩამოჰკრეს.**

**ხანდილა.** ექვსი საათიც გამხდარა უკვე. გამოდი, სტუმრებს მივხედოთ. (გადის.)

**სცენაზე ერთხანს სიცარიელეა. ხანდილა სოლომონს შემოუძღვება.**

**ხანდილა.** მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, თავადიც ახლავ გეახლებათ. გთხოვთ ეგ თქვენი „შუბა“ (ქურქს ჩამოართმევს და გადის.)

**სოლომონი უხმოდ დგას. ცოტა დაღლილი ჩანს. ქეიფისა და დროსტარების**

**დიდი ხალისიც არ ეტყობა. საკმაოდ გულგრილად გადახედავს**

**სუფრას და ფანჯარასთან მიდის. ქაშუეთს შესცქერის.**

**ვანო** (ზავილეიცკის შემოუძღვება). მობრძანდით ბატონო, გთხოვთ.

**ზავილეიცკი** (სასიამოვნო გარეგნობის კაცია). მოგესალმებით ბატონო დოდაევი!

**სოლომონი.** სალამი და გამარჯვება ნუ მოგკლებოდეთ!

**ზავილეიცკი** (მოსასხამს ვანოს გადასცემს). როგორა ხართ, კარგა ხანია არ მინახინართ. თქვენმა ჟურნალმა ნამდვილად გამოადვიდა მიძინებული ქართველობა.

**კარზე ზარს ჩამოჰკრეს.**

**სოლომონი.** მადლობელს გახლავართ, რომ ღირსმყოფთ თქვენი ყურადღებისა.

**ზავილეიცკი.** მკითხველი ხომ ბლომადა გყავთ?

**სოლომონი.** დღითიდღე მატულობს ღვთის შეწევნით.

**ელიზბარი** (შემოდის). სალამი მითქვამს და სიკეთეც მისურვებია თქვენთვის (სოლომონი და ზავილეციკი ღიმილით, ხელის ჩამორთმევით მიეგებებიან.)

**ზავილეციკი.** დეკემბრის სუსხმა ხომ არ აგიტანათ?

**ელიზბარი.** პეტერბურგის სუსხმა ვერაფერი მიყო და ჩვენი გაუბედავი ყინვა რას დამაკლებს.

**სოლომონი.** ეს ერთი კვირაა ძალიან ყინვები დაიჭირა.

**ელიზბარი.** ერთი კვირა კი არა, რა ხანია რუსეთის იმპერიაში დეკემბერი ერთობ სუსხიანია!

**ჯამბაკური** (შემოდის). სალამი მითქვამს ძვირფასნო და საქართველოს მომავალნო, ნათებავ მზისა! (ეს სათნო, ჭარმაგი და ერთიანად გაჭალარავებული მოხუცი ელიზბარს და ზავილეციკის მხნედ ჩამოართმევს ხელს, მაგრამ სოლომონს იუცხოვებს.) ამ ჭაბუკს კი ნამდვილად ვერ ვცნობ.

**ელიზბარი.** თბილისის სემინარიის მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი.

**ჯამბაკური.** ქართული „ლოგიკის“ შემქმნელი!

**ელიზბარი.** რიტორიკისაც!

**ჯამბაკური** (გახარებული). მაშ, თქვენ ხართ დოდაშვილი! ჟურნალი ძლიერ მომწონს თქვენი, ყმაწვილო, სათაური რომ არა ჰქონდეს ვერე გრძელი: (ხაზგასმით წარმოსთქვამს.) „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. მაგ თქვენს ჟურნალში ერთი იგავიც მომეწონა ძლიერ და დავიმახსოვრე კიდევ: (წარმოთქვამს დამახსოვრებულ იგავს.) „ერთმან მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰზის სადილად. მან ჭეშმარიტებით აღასრულა სიტყვა მკურნალისა: დილით საღამომდინ იჯდა სადილათ და სვამდა ღვინოსა“.

### სიცილი.

ხომ კარგი გაკვეთილია დღედაღამ ღვინოს გადაყოლილი ჩვენი ყმაწვილი კნიაზებისათვის?

**ზავილეციკი.** დიდებული.

**ელიზბარი.** მაშ, მე მეორეს გაგახსენებთ მაგ ჟურნალში დაბეჭდილ იგავსა. ეგეც ღვინოზე გადაყოლილ ურტყამს მათრახსა, როგორ იყო? „იცი, რომე იმ კაცს წარსულს კვირას სტაქანს ღვინოში დაუკარგავს გონება. ახლა ეძებს და ვერ უპოვნია“.

### სიცილი.

**სოლომონი.** მე ვხედავ მეტისმეტი მოგვივიდა ღვინის მსმურებზე იგავები. ვაითუ, სხვას ვერაფერს იმახსოვრებს ხალხი!

**ხანდილა** (პაუშენკოს შემოუძღვება. პაუშენკოს მოკრძალებულად უჭირავს თავი). მობრძანდით, ბატონო, გუბერნატორიც ახლავე გეახლებათ. (გადის. პაუშენკომ მოსაუბრეთ თავაზიანად დაუკრა თავი და განაპირდა.)

**ზავილეციკი** (ხმადაბლა). ვინ არის ეს უნტერ ოფიცერი?

**ჯამბაკური.** რომ არ ვიცი!

**ელიზბარი.** დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო.

**ჯამბაკური** (უსიამოდ შეიჭმუნება). ეგ ხომ არ გახლავთ ის ყმაწვილი, დეკაბრისტებთან რომ იყო რაღაც კავშირში.

**სოლომონი.** სწორედ ეს გახლავთ.

**ჯამბაკური.** ეგ კი ვერ მომიწონებია ჩვენი დიდებული ხელმწიფე იმპერატორისაგან - დასასჯელად კავკასიაში გამოგზავნა კაცისა.

**ელიზბარი** (ირონით). პეტერბურგელი წარჩინებულისათვის განა სასჯელი არ არის ჩვენნაირ ველურებში ცხოვრება? (პაუშენკოს.) შეგიძლიათ ახლოს მობრძანდეთ.

## პაუშენკო შეკრებილთ უახლოვდება.

იცნობდეთ ჩვენს მეგობრებს. (გაცნობის ცერემონიალი. მოსაუბრეთ შეუმჩნეველად გამოეყოფიან ელიზბარი და სოლომონი. უფრო ზუსტად, ელიზბარმა მსუბუქი ხელკავით გამოიხმო სოლომონი.) რა ამბავია?

**სოლომონი.** რაზე მეკითხები?

**ელიზბარი.** აი, აქ რა ხდება-მეთქი, რისთვის შეგკვრიბეს.

**სოლომონი.** აბა, რა ვიცი. გუბერნატორი სადილად გიხმობსო.

**ელიზბარი.** გუბერნატორს უქმად სადილი არასოდეს არ გაუმართავს. არც ღვინოს ეტანება მაინცდამაინც.

**სოლომონი.** ვერაფერს გეტყვი.

**ელიზბარი.** რაღაცას მითქვამს გული.

**სოლომონი.** ძალიან ეჭვიანი გახდი ამ ბოლო დროს. ადამიანმა სადილად შეგვ-ყარა, რა მოხდა!

## ახარხარებულ ჯგუფს შეუერთდებიან. ჯამბაკური სასაცილოს ჰყვება.

**ჯამბაკური.** მაგრამ ეგ არაფერი ბატონებო! მთავარი ის არის, რომ სწორედ ამ დროს იღება კარი და... შემოდის... თუ მიხვდებით, ვინ შემოვიდოდა?

**ზავილეიცი.** ალბათ, ქმარი, რომელიც მამაცაშვილს ეგონა გამოვათვრეო.

**პაუშენკო.** ქმარი?

**ზავილეიცი.** სხვა ვინ იქნებოდა!

**ჯამბაკური.** საქმეც ეგ არის, რომ ქმარი კი არა, ის, ვისთვისაც იხვეწებოდა თურმე ქალი, რამენაირად დაათვრე ჩემი მეუღლეო, თან მეუღლეს ნაზად ეუბნებოდა, ნუ სვამ, ღვინო მოგეკიდებაო.

**შეძახილები.** რას მბობთ! – აი, ეგ მესმის!

**ჯამბაკური.** ...შემოდის, ამ ჩვენს ვაჟბატონს დიდ მადლობას მოახსენებს (გაითამაშებს.) ერთი თვია ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, თქვენ ჩვენი კეთილი ანგელოსი ხართო. ქალი კი (მანერულად, წაბაძვით.) ხელს გაუწვდის და ნაზად ეუბნება: გამოგვიარეთ ხოლმე, ჩვენ უსათუოდ მეგობრები უნდა გავხდეთ, დღეს ჩვენს სიყვარულს დიდი სამსახური გაუწიეთო. გრე იყო: ჩვენი გიორგი ქუჩაში აღმოჩნდა, ის ნანატრი ქალი კი სხვისი გახდა.

## გულიანი ხარხარი.შეძახილები.

– ახია მაგაზე!

– რას მიეღებოდა!

– ასე ჰგონია, ყველას მაგაზე ამოსდის მზე და მთვარე!

**ჯამბაკური.** ეგ არაფერი! ორი დღის შემდეგ იგივე ცოლ-ქმარი – უნტეროფიცე-რიცა და უნტერ-ოფიცერშაც სხვა წვეულებაში ხვდება თავად გიორგის და იცით, ქმარმა სახალხოდ რა უთხრა მამაცაშვილს? (წაბაძვით.) თავადო, მეგონა, ვაჟკაცი იყავით, თქვენ კი თურმე მთხლე ყოფილხართ, მე იმიტომ დამათვრეთ, რომ ჩემს ცოლს გაარშიყვობდით, მაგრამ ხომ ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში, ჩემი ცოლი კეთილშობილი და პატიოსანი ქალიაო.

## სიცილი.

**ფალავანდიშვილი** (შემოდის მომღიმარე, სტუმრებით ნასიამოვნები, კეთილი მასპინძელი). მივესალმები ჩემს სტუმრებს.

**ჯამბაკური.** სალამი, სალამი!

**სოლომონი.** გამარჯვება ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!

**ელიზბარი.** გუბერნატორს გაუმარჯოს!

**პაუშენკო.** მაქვს პატივი მოგესალმით!

**ზავილეიცი.** გამარჯობათ, ჩემო ძვირფასო, გამარჯობათ!

**ფალავანდიშვილი.** მობრძანებისთვის მადლობა მითქვამს. ყველა მოვიდა?

**ზანდილა** (მოწიწებით დგას კართან). ვინც დაგვპირდა, ყველა აქ გახლავთ, დილო ბატონო.

**ელიზბარი.** გუბერნატორის პურ-მარილი საქვეყნოდ არის განთქმული და ყელს ვინ გამოიჭრიდა!

**სიცილი.**

**ფალავანდიშვილი.** მაგ მხრივ ამილახვრებმა გუშინ ყველას ბურთი ჩასჩარეს პირში. (ჯამბაკურს.) თქვენ რას იტყვით!

**ჯამბაკური.** დიდებული იყო მე და ჩემმა ღმერთმა, დიდებული! მაგრამ ხუთშაბათს რომ ანდრონიკოვებთან ქართული სუფრა ჰქონდათ, იმას ვერაფერი შეეღრება.

**სოლომონი.** ანდრონიკოვებთან?

**ზავილეიციკი.** ო, იქ მეც გახლდით მიწვეული. ნამდვილი ქართული სუფრა იყო.

**სოლომონი.** როგორ შეიძლება, ქართული სუფრა ჰქონოდათ გარუსებულ ანდრონიკოვებს!

**ელიზბარი.** რატომაც არა! ანდრონიკოვები ახლებურად ჰყდიან სინდის-ნამუსს და ძველებურად გეახლებიან. (სიცილი.) ეგრე არ არის, პაუშენკო?

**პაუშენკო.** მე ეგენი არ მეპატიჟებიან ხოლმე, მაგრამ ის კი გამიგია, რომ სწორედ ეგრე ირჯებიან.

**ფალავანდიშვილი** (სოლომონთან მივიდა). ისე მოხდა, უფალო დოდაევ, რომ აქამდე შინ ვერ მოგიწვიეთ, თქვენს ჟურნალსა და კეთილ საქმიანობას კი ინტერესით ვადევნებ თვალსა და მიხარია, რომ ეგრე მსახურებთ მშობელ ქვეყანას.

**სოლომონი.** მადლობას მოგახსენებთ, გენერალო.

**ჯამბაკური.** რახან სუფრებზე ჩამოვარდა სიტყვა, ამას წინათ მგოსნისა და გენერალ ჭავჭავაძიანთ ოჯახში გახლდით. ურჯულოთა მიერ ეგრე განწირული სიძის – გრიბოდოვის დღეობა გადაიხადეს, ო, რა სუფრა იყო, რა პურისჭამა! ღვინოს კახურს გეახლებოდით, თევზეულს – ჭარ-ბელაქნისას, პურეულს შირაქისას, ყველეული იმერული იყო, ქათამ-გოჭეული მენგრელიდან საგანგებოდ ჩამოუ-ტანიათ ამხელა გზაზე. გაგივიათ?

**ზავილეიციკი.** იმ ხაჭაპურის გემო ახლაც პირში მიტრიალებს.

**ელიზბარი.** ჭავჭავაძე კაცობაშიც გენერალია!

**ფალავანდიშვილი.** სხვათა ქეიფებზე საუბარმა ჩვენი პურისჭამა არ დაგვავიწყოს. გთხოვთ, ბატონები, მობრძანდით. (სუფრას შემოუსხდებიან. პაუშენკოს.) აქეთ, თქვენ აქეთ მობრძანდით, გენერალს კი ვევეგრები, პირდაპირ დამიჯდეს.

**ჯამბაკური.** სადაც მიბრძნებთ.

**სოლომონი** (ზავილეიციკის). მე თქვენს გვერდით მოვხვდი?

**ზავილეიციკი.** ძალზე მახარებს ეგ მეზობლობა.

**ელიზბარი.** ქეიფს რომ გზა მივცეთ და ეშხი, საგანიც გვითხარით პურისჭამისა, გუბერნატორო.

**ფალავანდიშვილი.** საგანი ერთიმეორესთან შეხვედრის სურვილია. მე მინდა საამოდ ვჭამოთ და ვსვათ, ერთიმეორეს ტკბილი ვუთხრათ და ტკბილადაც გავატაროთ დრო.

**ჯამბაკური.** რომელი დრო – ამ სუფრისა, თუ ის, რაც ღმერთს უბოძებია ჩვენთვის!

**ფალავანდიშვილი.** მთელი ცხოვრების ტკბილად გატარებას ადამიანები არ ვანე-ბებთ ერთიმეორეს, თორემ ღმერთი მუდამ ჩვენკენაა, მაგრამ ევადან მოყოლებული კაცმა მაინც არ დაიშალა ავისქმნა.

**სოლომონი.** მაინც სიკეთე სჯობნის ბოროტსა, თორემ ამას იქნებოდა ჩვენი ყოფა.

**ჯამბაკური** (ზავილეიციკის). გადაიღეთ, მეტად გემრიელი დოშია. კარგად გამოუშრიათ. (ფალავანდიშვილს.) მერედა, ეგ ადამიანები ღმერთის განაჩენს წინ რად უდგებიან?

**ფალავანდიშვილი**. იმად, რომ არც ღმერთისა სწამთ და არც – კაცისა.

**ელიზბარი** (პაუშენკოს). აბა, ერთი ნახეთ, შეიძლება ასე გემრიელად სხვაგან შეწვან გოჭი?

**სოლომონი**. ბოროტისმქნელი აროდეს ამბობს ბოროტს ჩავდივარო. კაცთა მოდგმის უკეთესი შვილები ხალხის მოავედ შეურაცხავთ და კანონის სახელით, ადამიანის სიკეთისათვის დაუღვრიათ მათი სისხლი.

**ზავილეიციკი**. ცოცხალი, მართლაც, რომ ჩინებულია, ნახეთ, როგორი ფერი გადასდის ფხაზედ?

**ფალავანდიშვილი**. ყოველ საქმეს თავისი ფასი აქვს – დიდი სიკეთის სახელით მცირე ბოროტებას არ დავერიდები. ვანო, ხანდილ!

**ვანო და ხანდილა სუფრასთან მიდიან.**

**ყოველ წევრს მოწიწებით შეუვსეს ჭიქა.**

**ელიზბარი**. მოდი და გაიგე, რომელია დიდი სიკეთე და რომელი კიდევ მცირე ბოროტება.

**ფალავანდიშვილი**. ახლა კი ღვინო დავლიოთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ბოროტიცა და კეთილიც უჩვენოდ იბადება და უჩვენოდვე კვდება. ეს ჩვენს

დღევანდელ პურისჭამას გაუმარჯოს!

**ზავილეიციკი**. გაუმარჯოს!

**პაუშენკო**. შეგერგოთ!

**ჯამბაკური**. ქეიფი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

**ზავილეიციკი**. ო, რა ღვინოა?!

**ჯამბაკური**. მე თქვენსა ასეთი ღვინო ჯერ არ დამიღვია. გემოც უცხო აქვს.

**ელიზბარი**. აბა, ერთი ფხალეულს გავუსინჯოთ გემო, ჰო, რა არის?!

**ფალავანდიშვილი**. მაშ, გეუცხოვათ ჩემი ღვინო?

**ჯამბაკური**. ეგეთი ღვინო მე ჯერ არ შემისვამს.

**სოლომონი**. ჩინებულია!

**ელიზბარი**. გემოც კარგი აქვს და ფერიც!

**ფალავანდიშვილი** (პაუშენკოს). იქნებ, არაყს მიირთმევდით?

**პაუშენკო**. კარგა ხანია ღვინოს შევეჩვიე.

**ფალავანდიშვილი**. მაშ, მოდით, კიდევ ერთხელ შევსვათ და ვადღეგრძელოთ ოჯახი ჩემი, განშირებოდეს სტუმარი და არ მოჰკლებოდეს სიყვარული ხალხისა.

**ჯამბაკური** (წამღერებით). კურთხეულ იყოს, უკუნითი უკუნისადმე... (ხელი აიქნია და ყველამ ერთად დააგუგუნა.) ამინ!

**ელიზბარი**. ქალბატონი ფალავანდოვისა რატომ არ ბრძანდება ჩვენს შორის? იგი მუდამ მოხარულია სტუმრისა.

**ფალავანდიშვილი**. ბარონესა როზენისას სტიხების კითხვა აქვს დღესა და იქ მიიწვიეს.

**ელიზბარი**. მაშ, დავცალოთ სასმისები, ბატონებო, ისე რომ თამამად ვთქვათ – ასე საქართველო დაიცალოს თავის მტერთაგანო.

**ფალავანდიშვილი** (ელიზბარს ჯიუტად დააცქერდება. დინჯად, სრულიად შეცვ-ლილი ხმითა და ინტონაციით, რაც მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა ეს კაცი სულაც არ იყოს ისეთი, როგორსაც ახლა სუფრასთან ვხედავთ). როგორა სთქვი?



**ელიზბარი.** ასე დაიცალოს საქართველო თავის მტერთაგან.

**დუმილი.**

**ფალავანდიშვილი** (ცოტა ნერვიულად). ხანდილ, ვანო!

**ხანდილა და ვანო სუფრასთან მიდიან, ჭიქებს შეავსებენ.**

აი, ახლახან ბოროტსა და კეთილზე ვსაუბრობდით. ხომ ხდება, რომ ბოროტი სიკეთის სახეს მიიღებს, მეთანხმებით თუ არა, სოლომონ?

**სოლომონი.** გეთანხმებით.

**ფალავანდიშვილი.** მაშ, მოდით და გავარკვიოთ, რა არის დღეს კეთილი და რა კიდევ ბოროტი. მამულისათვის, რასაკვირველია.

**ზავილეიცი.** მაგას რა გარკვევა უნდა – მამულისათვის სამსახურია სიკეთე.

**ფალავანდიშვილი.** რაგვარი სამსახური?

**ელიზბარი.** თუნდაც თავგანწირვა, თავგადადება.

**ფალავანდიშვილი.** როგორი თავგანწირვა, რანაირი, რისთვის?

**პაუშენკო.** უკაცრავად, მე ვერ გაგიგე.

**ფალავანდიშვილი.** ახლა ხომ ჩვენში ზოგიერთ კნიაზს უკუღმა ესმის მამულის სამსახური. სამშობლო ისეთი კი არ უნდათ, როგორიც ხალხს, მის მომავალს გამოადგება, არამედ ისეთი, მათ სულს რომ ეამება. იმას კი არ ფიქრობენ, მათი სულის საამებელი მამული ძალიან ძალე რომ განუტევებს სულს.

**ჯამბაკური.** ვერაფერი გავიგე მაგ ნათქვამისა გუბერნატორო და რა ვქნა!

**ფალავანდიშვილი.** მოდით, მამული ვადღეგრძელოთ ჩვენი, საღი გონების შვილები ვუსურვოთ.

**ელიზბარი.** ღმერთმა ინებოს, ხვალ ისეთი ვიხილოთ მამული ჩვენი, როგორც წინა-

პართ სურდათ.

**სოლომონი.** მე კიდევ მამულის ხვალინდელ დღეს ვადღეგრძელებ.

**ფალავანდიშვილი.** ეგ ხვალინდელი დღე ვითომ რა არისო?

**სოლომონი.** ის არის, რომ ხვალ უფრო ბედნიერი უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის.

**ფალავანდიშვილი ჩაფიქრდება.**

**ჯამბაკური** (ხალისით, მხნედ). მე კი ერთს გეტყვით, ჭაბუკნო, მამულის ბედი თქვენს ხელთ არის. მოუარეთ, გაუფრთხილდით, ჩვენ უკვე დავბერდით, სახვალისო საქმეს ვეღარ გავუძღვებით, ხვალინდელ საქართველოს დიდი ამბები ელის და ჭკუით იყავით, ფხიზლად შეხედეთ ცხოვრებას.

**ელიზბარი.** ვინძლო, არ შევარცხვინოთ ქვეყანა ჩვენი.

**სოლომონი.** მაშ, გაუმარჯოს, ბატონებო!

**სვამენ.**

**ჯამბაკური.** ის როგორ არის? პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო?.. (ჯამბაკური სიმღერას წამოიწყებს, მხნე, ძლიერ, ენერგიულ ქართულ სიმღერას. ვიდრე ესენი მღერიან, ვანო და ხანდილა სუფრაზე კერძს ჩამოაჭარებენ.

ძავილეიცი). მე ის მიხარის, რომ გენერალს კიდევ შერჩა სიმღერის ხალისი, ღვინის სმის ძალა და იმასაც ამბობენ, ხანდახან ლამაზ ქალსაც გააყოლებსო თვალს.

**ჯამბაკური.** მაშ, როგორ გინდათ! კაცი სიბერეშიც ის არის, რაც ჯუელობაში იყო! ეგ არის, რომ ზოგს მოსდევს ძალი, ზოგს კიდევ – არა.

**ფალავანდიშვილი** (გულღია ღიმილით). როგორა ხარ, ელიზბარ, როგორ ცხოვრობ?

**ელიზბარი.** ღვთის შეწევნით გვიდგას სული.

**ფალავანდიშვილი.** ჩვენს დროს, ცხოვრებას ხომ არ ეძღვრები? ყური მოგკარი, ერისთავის ოსური სოფლები ხაზინას უნდა გადასცენ და ელიზბარი ძალზე განაწყენებულია ხელისუფლებასზე, ეგრეა, განა?

**ელიზბარი.** თქვენ როგორა ფიქრობთ, არა მაქვს წყენის მიზეზი?

**ფალავანდიშვილი.** გაქვს, მაგრამ... (მცირე პაუზის შემდეგ.) ახლა რას აპირებ, მაგ წყენას გზას საით აძლევ?

**ელიზბარი.** ვერ ჩამომართმევს მეფისნაცვალს მამულს. განა არ იცის, თუ ყმები ასე გამოვაცალეთ ერთმანეთს, ეს ქვეყანა იმასაც დაემხოთა თავზე და მეც. მაგ ყმებით უდგას სული იმპერიას.

**ფალავანდიშვილი.** ჭკუით გიფიქრია, თავადო! მეფისნაცვალს არ იზამს მაგ საქმეს. უბრალოდ შენ გაქეზებენ. ახლა კი ჭიქები შევავსოთ და ერისთავი ვადღეგ-რძელოთ. ჭაბუკი კაცია და დიდი სიფრთხილე მართებს, რომ აჩქარებით არც თავს ავნოს და არც – სხვას.

**სოლომონი.** გაუმარჯოს!

**პაუშენკო.** კარგად იყავი, ელიზბარ!

**ზავილეცი.** ელიზბარი არაფერში შესცდება.

**ჯამბაკური.** პეტერბურგს ნასწავლი კაცი მუდამ სანდოა!

**ელიზბარი.** მადლობელი ვარ, თქვენ გაგიმარჯოთ.

**სვამენ.** ვანო და ხანდილა უხმაუროდ ჩამოივლიან და ჭიქებს შეავსებენ.

**ჯამბაკური.** ერთი გამაგებინეთ, ყმაწვილებო, რა მოხდა ჩოფიკაშვილებისას?

**ელიზბარი** (ირონიით). განა არ იცით? ჩოფიკაშვილის ასული, თექვსმეტი წლის თათო, სტუმრად მისულ ოფიცერს საძილე ოთახში შეეჭრა თურმე და გაუპატიურება მოუწოდო.

**ჯამბაკური** (გაოცებული). რას ამბობ, აფიცერსა?!

**სოლომონი** (ირონიით). თურმე ის აფიცერი თავს იკლავდა, როგორ გეკადრებათ, ოჯახში, სტუმრად შემოვსულვარ, პურ-მარილი მიმიღია და ნაძუსს ნუ ამყრიო.

**ზავილეცი** (სიცილით). სულ ეგრე იყო, სულ თავს იცავდა.

**პაუშენკო.** ეგ საქმე მე კარგად ვიცი, ჩოფიკაშვილის ქალი არაფერ შუაშია, მაიორი კი უსირცხვილოდ აცხადებდა, მისი ბრალი იყო ყველაფერი. თურმე ოფიცერი ნეზვანცევი ჩოფიკაშვილებმა ჩინებულად მიიღეს, დიდი ვახშამი გაუმართეს, ერთი სიტყვით, კარგი პური უჭამიათ, ბოლოს საძილე ოთახში მიუცილებიათ და... ყველას რომ დაუძინია, მთვრალი ნეზვანცევი ჩოფიკაშვილის ქალის ოთახში შევარდნილა, ქალი სტუმრისაგან ასეთ საქციელს როგორ იფიქრებდა და კარი ჩაუკეტავი დაუტოვებია თურმე, ეძგერა ნეზვანცევი ქალს.

**ჯამბაკური.** მძინარეს? ყოჩაღ, აფიცერო!

**პაუშენკო.** ქალი ვეფხვივით იბრძოდა თურმე და იმდენი მოახერხა, რომ ხელიდან გაუსხლტა ოფიცერს, ნეზვანცევმა კი იარაღი ამოიღო, წინააღმდეგობას როგორ მიბედავო...

**ელიზბარი.** ვაჟკაცობაც ამას ჰქვია!

**პაუშენკო.** ქალი მაინც დაუსხლტა, ფანჯრიდან გადახტა და... ისე დაიმტვრა, რომ მთელი სიცოცხლე ლოგინში უნდა გაატაროს.

**დუმილი.**

**სოლომონი.** მერე იმ ოფიცერმა თავი არ მოიკლა?

**პაუშენკო.** დუშეთის ციხეში მყავს დამწყვდეული, სიმთვრალით მომივიდაო.

**ელიზბარი.** მაგისი პასუხისგებით ჩოფიკაშვილის ქალი გამრთელდება?

**ჯამბაკური.** განა ამილახვართა და სახლთუხუცესთა შუღლის საგანი დაგავიწყ-  
დათ? ხომ გახსოვთ, რა საძაგლობა ჩაიდინა ამირეჯიბმაც.

**ელიზბარი.** მახსოვს, გენერალო, მახსოვს, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი სიგლაზე იყო  
და რალაცნაირად მოვუვლიდი...

**ზავილეიცი.** თავშეუკავებელი გახდა ქვეყანა.

**ფალავანდიშვილი** (ზავილეიციკის). ეგ არაფერი, ერთი ატრუებული და ცალტვინა  
აფიცერი ვერას დააკლებს ხევის სიწმინდეს, მე თქვენი დღენი უფრო მაინტერესებს,  
რასა იქმთ, როგორა ცხოვრობთ, მართალია, რომ ორბელიანთა და თქვენს შორის  
უსიამოვნება არისო?

**ზავილეიცი.** მე ვხედავ, რომ ძალიან ცუდად მუშაობენ თქვენი მსტოვრები.

**ფალავანდიშვილი.** მსტოვრები რად გაიხსენეთ?

**ზავილეიცი.** მეტისმეტად ძველი ამბები მოაქვთ თქვენთან. ამგვარი ხალხით შორს  
ვერ წავა ტფილისის გუბერნატორი.

**ფალავანდიშვილი** (მცირე პაუზის შემდეგ, რალაც ენიშნა). თქვენი მსტოვრები უკეთ  
ირჯებოდნენ?

**ზავილეიცი.** ქალაქის ყოველ კუთხე-უბანში დილას მომხდარი ამბავი ნაშუადღევს  
უნდა მცოდნოდა, შუადღეს მომხდარი – საღამოს, საღამოს ამბავი კი  
– ვარსკვლავების გამოჩენამდე.

**ფალავანდიშვილი** (ღიმილით). სად არიან ახლა ის თქვენი მსტოვრები?

**ზავილეიცი.** იმათ უკვე სხვა პატრონები ჰყავთ.

**ელიზბარი.** ხედავთ, მეგობრებო, როგორ დაფასდა ჩვენში მსტოვრობა. მეოსანი კაცის  
ბედი არავის აინტერესებს – გრიბოედოვი ურჯულთ გაუგზავნეს, აკუწეთო,  
მსტოვრებზე კი ტაციაობა აქვთ, ნაგუბერნატორალი გუბერნატორს არ ენდობა.

**ფალავანდიშვილი.** მაშ, დამთავრდა ეს უსიამოვნება?

**ელიზბარი.** ეგ ამბავი შარშან იყო, მას შემდეგ ზავილეიცი და ალექსანდრე  
ორბელიანი მეგობრებიც კი გახდნენ.

**ფალავანდიშვილი.** ასეა განა?

**ზავილეიცი.** ასეა, ჩვენ ახლა მეგობრები ვართ.

**ფალავანდიშვილი.** ასე უცებ რამ დაგამეგობრათ?

**ელიზბარი.** ჯავრი აღარ სჭირთ ერთმანეთისა.

**ფალავანდიშვილი.** მოქიშპენი მხოლოდ მაშინ ერთიანდებიან, როცა სხვა უფრო დიდი  
მტერი გამოუჩნდებათ. განა ასე არ არის?

**ზავილეიცი** (პირქუშად). თქვენი მოსაზრება მართალია, მაგრამ ჩვენ შორის  
გაუგებრობა იყო და არა მტრობა.

**ფალავანდიშვილი.** მაშ, გრაფს ვადღეგრძელებ, მეგობრებო, ძალიან მალე შეისწავლა  
საქართველოს ავ-კარგი, პატივს სცემს ჩვენს ხალხს და მინდა ხელმწიფის ერთგულ  
სამსახურში გალიოს დღენი, რადგან ჩვენთვის არ შეიძლება არსებობდეს უფრო  
დიდი სიამე, ვიდრე ხელმწიფისადმი ერთგულებაა.

**ზავილეიცი.** გმადლობთ, თავადო.

**ჯამბაკური.** უნდა მოგახსენოთ, რომა მე დიდ პატივს ვცემ ზავილეიციკისა. პატიოსანი  
კაცია, მამულის სიკეთის წყაროდ სწორედ ხელმწიფის ერთგული სამსახური მიაჩნია  
და არცა სცდება. რა ხანი იყო საქართველოს გუბერნატორი და ცუდი საქმე არ  
ჩაუდენია. გაგიმარჯოს!

**ელიზბარი.** ღმერთმა ყველა სურვილი აგისდინოს!

**სოლომონი.** ღმერთმა გამარჯვება მისცეს თქვენს საქმესა.

პაუშენკო. მიიღეთ ჩემი აღფრთოვანება!

**სვამენ, ხანდილა და ვანო კვლავ მოწიწებით ჩამოუვლიან  
სუფრას და ჭიქებს შეავსებენ.**

**ელიზბარი** (ჯამბაკურს გადაულაპარაკებს). ეს რა წვრილ-წვრილი ჭიქებით გვასმევს გუბერნატორი – ქეიფად მოგვიხმო, თუ თათბირად!

**ჯამბაკური.** უცებ თრობა და ბევრი სმა ჭაბუკ აფიცერთა ჩვევია, ძველებმა ნელი და გემრიელი სმა ვიცით.

**ელიზბარი.** სუფრა დროის სათრეველა კი არ არის, სალხენი ადგილია.

**ფალავანდიშვილი.** ახლა კი სოლომონი ვადღეგრძელოთ, ჩინებული ყმაწვილი კაცი, ვინაც კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ აზნაურსაც შეუძლია მხარგამლილი დაჯდეს თავადის გვერდით, თუ ერის სასახელო საქმეს გააკეთებს. რასა იქმს შენი ჟურნალი, სოლომონ?

**სოლომონი.** მეფისნაცვალ როზენისა და თქვენის შეწევნით უდგას სული.

**ფალავანდიშვილი.** ერთი ეს მიბრძანე, სოლომონ, შენ, ლოგიკის წიგნის დამწერმა, ქართული რიტორიკის შემქმნელმა, ფილოსოფოსმა, სემინარიის მასწავლებელმა, როგორ მოიცალე მაგ საქმისთვის, რისთვის შექმენი ეგ ჟურნალი?

**სოლომონი.** იმად რომ (მცირე პაუზა.) ქართველთა შორის მეცნიერება დავნერგო, გავაგებინო, თუ რა ხდება ქვეყანაზედ.

**ფალავანდიშვილი.** კარგია, კარგი... სანაქებო საქმეა. მე და ჩემმა ღმერთმა. მაშ, სოლომონს გაუმარჯოს, ბატონებო, ეგ რომ გონიერი და წინდახედული კაცია, ყველას დაგვიდასტურა – რუსი კაცის სიძე გახდა. (სოლომონი უხერხულად შეიშმუშნება.) გაგიმარჯოს, სოლომონ!

**ელიზბარი.** გაგიმარჯოს!

**ჯამბაკური.** დამილოცინხარ, შვილო!

**პაუშენკო** (ჭიქას მიუჭახუნებს). ჩვენს ძმობას გაუმარჯოს!

**ზავილეიცი.** შენი იმედი გვაქვს.

**სოლომონი.** გმადლობთ, ბატონებო!

**სვამენ.**

**ჯამბაკური.** სოლომონს სიმღერა უყვარს!

**სიმღერას წამოიწყებენ.** ელიზბარი, ჯამბაკური და სოლომონი გატაცებით მღერიან, ზავილეიცი და პაუშენკო სიამოვნებით უსმენენ. ფალავანდოვი ჩაფიქრებული ზის.

**ფიქრს** ისე გაუტაცნია, ეს ხალისიანი სიმღერა არც ესმის, წამოდგება კიდევც.

**დარბაზში** რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, შედგება. ისევ სუფრას მოუბრუნდა და თითქმის ჯიქურ მიეჭრება მომღერალ ელიზბარს.

**ფალავანდიშვილი.** ერთი ეს მიბრძანეთ, თავადო, თქვენ ხომ რუსეთს მიიღეთ სწავლა-განათლება?

**ელიზბარი** (ცდილობს სიმღერას არ გამოეთიშოს, ღიმილით). პეტერბურგს, შვიდი წელი პეტერბურგის საარტილერიო სკოლაში ვიყავი და კორნეტის ჩინით დავბრუნდი სამშობლოში.

**ფალავანდიშვილი.** რუსეთს როდის წაბრძანდით?

**ელიზბარი** (ფალავანდიშვილს მოუტრიალდება). ათას რვაას ოცდასამ წელსა.

**ფალავანდიშვილი** (ბოლთას ცემს, ამით მომღერალთა ყურადღება მიიპყრობს. სიმღერა შეწყდება). ბარემ ისიც მითხარი, სად იყავით 1825 წლის დეკემბერში.

**ელიზბარი.** პეტერბურგს.

**ფალავანდიშვილი.** ოცდახუთი წლის დეკემბერში პეტერბურგს იყავით და ახალგაზრდა რუს აფიცერთა წრეში ტრიალებდით?

**ელიზბარი.** რალაც გაწუნებს, გუბერნატორო

**ფალავანდიშვილი.** გუბერნატორი კაცის ყოფა უდარდელი როგორ იქნება, ახალგაზრდა რუს აფიცურთა წრეში ტრიალებდით?

**ელიზბარი.** თუ დეკაბრისტებზე მეკითხებით, სწორედ ვერე გახლავთ.

**ფალავანდიშვილი** (სოლომონს მიუტრიალდება). ვგონებ, თქვენც პეტერბურგს სწავლობდით.

**ზავილეიცი** (უხერხული ღუმილი რომ დაფაროს). ტფილისში უნივერსიტეტი კი არა, ერთი სემინარიის გარდა არაფერი გვაქვს.

**ფალავანდიშვილი** (გალიზიანებული, ზავილეიციის). ერთი წუთით, მოწყალეო ხელმწიფე, ერთის წუთით! (სოლომონს.) რამდენი ხანი იყავით პეტერბურგის უნივერსიტეტში?

**სოლომონი.** ოთხი წელი.

**ფალავანდიშვილი.** ათას რვაას ოცდახუთი წლის დეკემბერში...

**სოლომონი.** პეტერბურგს გახლდით, და სწორედ სენატეს მოედანზე ვიდექ...

**დარბაზში ფერწასული ვანო შემოდის. რალაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ გაბედავს – ფალავანდიშვილს საუბარს ვერ გააწყვეტინებს.**

**ფალავანდიშვილი** (დაუფარავ პასუხში გამოწვევაც იგრძნო და ხმადაბლა ეკითხება). ისიც მითხარით, რომელ მხარეს.

**ელიზბარი** (ცოტა ბრაზიც მიაყოლა ნათქვამს). იმათ გულშემატკივართა მხარეს, რომლებიც უფრო ჭკუით რომ მოქცეულიყვნენ, რუსეთს ბედნიერსჰყოფდნენ.

**ჯამბაკური.** რალაც ვერ გავიგე, საუბრის ძაფი დავკარგე, ალბათ (ელიზბარსა და სოლომონს.) რომელ მხარეს იდექით და...

**ელიზბარი.** იმ დღეს საბოლოოდ დავგარწმუნეს – თავისუფლება თუ გინდა, სისხლიც უნდა დაღვარო. იმათ კი სანახევროდ გაბედეს. უნდოდათ ხელმწიფეს თავად გაეყო თავი სახრჩობელაში, მაგრამ ხელმწიფემ ჭკუითაც აჯობა და ვერაგობითაც – მაგათ გააყოფინა თავი...

**ჯამბაკური** (ფალავანდიშვილს). გუბერნატორო, გამაგებინეთ რა ხდება აქ, მე ეს საუბარი არ მომწონს, ღმერთმანი, არ მომწონს.

**ფალავანდიშვილი.** დღეს თქვენ აქ ბევრი რამ არ მოგეწონებათ, გენერალო, ძალიან ბევრი რამ...

**ზავილეიცი** (წამოდგება). თქვენის ნებართვით, მე დაგტოვებთ.

**ფალავანდიშვილი.** დაბრძანდით.

**ზავილეიცი.** მოპატიჟებისათვის მადლობას მოგახსენებთ. უნდა გაუწყოთ, რომ პოლკოვნიკ ტრეტილევიჩს ერთობ საჩქარო მოხსენება უნდა წარვუდგინო.

**ფალავანდიშვილი.** დაბრძანდით.

**ზავილეიცი.** ამ ჩინებულ პურობას არავინ დასტოვებდა, მაგრამ...

**პაუშენკო** (წამოდგება). როგორც ვხედავ, მე აქ ზედმეტი ვარ, თქვენ შინაურული საუბარი უნდა გქონდეთ და...

**ფალავანდიშვილი** (თითქმის ბრძანებით). დაბრძანდით-მეთქი!

**ჯამბაკური.** გამაგებინეთ, რა ხდება აქ!

**ზავილეიცი.** არა ვგონებ, თქვენ გჭიროდეთ იმის შესხენება, რომ მიჩვეული არ ვართ ასეთ ტონს და თქვენს ოჯახში ყოფნა არ უნდა გაძლევდეთ ამის უფლებას.

**ელიზბარი** (ბრაზით). თავადო, პურის საჭმელად მოგვიწვიეთ თუ იმისათვის, რომ სტუმრებს სულ დაბრძანდით, დაბრძანდით ეძახოთ და ჩვენი წარსული იკვლიოთ?

**შემორბის შეშინებული ხანდილა, რალაცის თქმა უნდა, ვერ ბედავს.**

**ფალავანდიშვილი** (დინჯად, ცოტა ირონიულადაც კი). დღეს საქმე ისე დგას, რომ თქვენი მომავალი უფრო საკითხავია, ვიდრე წარსული.

**სოლომონი**. აშკარაა, რომ პურის საჭმელად არ მოვუწვევივართ.

**ფალავანდიშვილი**. ერთის წუთით, ერთის წუთით (ჯიბიდან საათს ამოიღებს, დახედავს.) ხანდილ!

**ხანდილა**. გისმენთ, ბატონო.

**ფალავანდიშვილი**. გაიხედეთ, ქუჩაში რა ხდება.

**ხანდილა**. იი... ისა... ბატონო.

**ფალავანდიშვილი**. რა ენა გებმის.

**ხანდილა**. რაღაც უბედურებაა ჩვენს თავს, სახლს ჯარისკაცები შემოეკვრნენ, ყველა კართან ჩადგნენ, არც ვინმე შევიდეს შიგ და არც ვინმე გამოვიდესო...

**ელიზბარი** (ადგილიდან წამოიჭრება). რაო, რა სთქვი?

**სოლომონი**. ჯარისკაცები ჩადგნენო?

**ჯამბაკური**. მაშ...მაშ...ალყაში ვართ? რატომ, რისთვის!

**პაუშენკო უხმოდ ზის.**

**ზავილეიციკი** (წამოდგება, ჩიბუხს მოუკიდებს, ჩიბუხის სქელი ბოლო დარაჯივით დასდევს. ფალავანდიშვილს). თავადო, გვითხარით რამე.

**ფალავანდიშვილი**. ეგ ცუდი ამბავი არ არის. რუსის ჯარს წესრიგი უყვარს (ხანდილას.) ჩადი და აფიცერს უთხარი, როცა საჭირო იქნები, დაგიძახებ-თქო (ხანდილა გატრიალდება.) ვანო, ღვინო!

**ვანო მოწიწებით ჩამოივლის და ჭიქებს ავსებს.საერთო ღუმელში დოქის ყელში დატრიალებული ღვინის რაკრაკი ჩაესმის ყველას,**

**ფალავანდიშვილი ფიქრიანად განაგრძობს.**

ახლა მე გამიმარჯოს, ძალიან მინდა დამლოცოთ, დღეს ყველაზე მეტად მე მჭირდება გამარჯვება. რამდენი რამ გადამხდენია თავს, რა არ განმიცდია, მაგრამ დღეს, ალბათ ყველაზე მეტად მიჭირს. დამლოცეთ!

**ჯამბაკური** (ჩაფიქრებული, ძალიან ცდილობს რაიმეს მიხვდეს). გაგიმარჯოს, ნიკოლოზ, კარგად იყა... (თან თანამესუფრეთ შესცქერის).

**ფალავანდიშვილი**. შენა, სოლომონ?

**სოლომონი** (მხრებს აიჩეჩავს, ხმადაბლა). ვერაფერს გეტყვით თავადო.

**ფალავანდიშვილი**. ზავილეიციკი, თქვენ არ მადლეგრძელებთ?

**ზავილეიციკიმ ჭიქა უხმოდ გადადგა გვერდზე.**

თქვენ, პაუშენკო?

**პაუშენკო**. გაგიმარჯოთ, თავადო, დღეს პირველად ვარ თქვენს ოჯახში და იმედი მაქვს, კეთილად დამთავრდება ეს სტუმრობა.

**ფალავანდიშვილი**. შენ, ელიზბარ, შენ არ მადლეგრძელებ?

**ელიზბარი**. არა, თავადო, სადლეგრძელო გულმა უნდა გიკარნახოს და არა შიშმა. (გამომწვევად დაჯდა, ჭიქაც დადგა.)

**ჯამბაკური**. კი, მაგრამ გამხადეთ იმის ღირსი, რომ გავიგო...

**ფალავანდიშვილი**. დამშვიდდით, გენერალო, თქვენ უნებელი ხართ. (სუფრის დანარჩენ წევრებს მიუტრიალდება.) ბატონებო, თქვენ ყველანი დაპატიმრებული ხართ, ასეთია ნება საქართველოს გუბერნატორისა! ახლავე გეახლებით. (გადის.)

**ღუმელი**. ზავილეიციკი უხმოდ დადის დარბაზში ჩიბუხით ხელში, პაუშენკო

**არც შერხეულა, სოლომონი და ელიზბარი გამომწვევად სხედან.**

**ჯამბაკური**. კი, მაგრამ... ხმას რატომ არ იღებთ, საქართველოს წარჩინებულ ოფიცერებო, თქვით რამე, ხალხნო... დაგვატყვევეს.

**ელიზბარი.** აბა, რა უნდა ვთქვათ — ხომ ხედავთ, ახალმა ცხოვრებამ რა სიკეთეც მოგვიტანა— პურის საჭმელად მოგიწევინ და ოთხ კედელს შუა გამოგამწვდევინ.

**ჯამბაკური.** ისეთი რა დაამავეთ, რო... (სუფრის წვერებს ჩამოუვლის.) თქვენ ისეთი რა უნდა გექნათ, ზავილეიცკი, რომ გუბერნატორს დაეპატიმრებინეთ... ან, შენ, სოლომონ, ამომავალი მზეო საქართველოს სწავლულთა, შემქმნელო ქარ-თული ლოგიკისა და ღრამატიკისა, ვის შრომებსაც რუსი სწავლულნიც კი აქებენ, ან თქვენ, ყმაწვილო, თქვენ რა გვარი ხართ?

**პაუშენკო.** პაუშენკო.

**ჯამბაკური.** პაუშენკო — ისპრავნიკო დუშეთისა, თავადა ხარ კანონისა და ხელმწიფის კაცი, ასეთი რა უნდა გექნათ? არა, აქ რაღაც ხუმრობაა, იხუმრა, ნამდვილად რაღაც ოინს გვიწყობს გუბერნატორი, გნებავთ, მე ახლა კარში გავალ და თითსაც ვერავინ დამაკარებს...

**ფალავანდიშვილი** (შემოდის, გენერალს მუნდირი ჩაუცვამს). არ გირჩევთ, გენერალო, იქ გაუთლელი სალდათები დგანან და ვაითუ, შეურაცხყოფაც მოგაყენონ. გთხოვთ, დაბრძანდეთ.

**გაოგნებული ჯამბაკური თავის ადგილს უბრუნდება.**

**ფალავანდიშვილი სუფრის წვერებს მოუტრიალდება.**

არცერთი თქვენგანი არ წამოდგა და არ იკითხა, რატომ ჩავდივარ ამას?

**დუმილი.**

**ჯამბაკური.** ბოლოს და ბოლოს გვითხარით-- რა ამბავია?

**ფალავანდიშვილი.** რატომ ერთი თქვენგანი მაინც არ იკითხავს მიზეზს? (დუმილი)იქნებ, არც გაინტერესებთ? (დუმილი.)მაშ, ასე ვქნათ, ახლა აქ შემოვა ოფიცერი, ყველას ყაზარმებში წაგასხამენ და იქ სათითაოდ გამოიკვლევენ...

**ელიზბარი** (მაგიდას მრისხანედ დაჰკრავს ხელს). ჩვენი ბრალია ყველაფერი, თავი რომ გაგიტოლეთ, ეს არ იკმარე და წინაც წავგვიხტი. ხომ არ დაგავიწყდა, ბაბუაშენი ფალავანდიშვილი კი არა, გლეხი ყორჩიშვილი იყო, მერე აზნაურობა მოიპოვა ოფლითა და სისხლით. დღეს კი გათავადებული გლეხი საქართველოს ჭეშმარიტ თავადებს, მეფის გვარის შთამომავალთ ამას უბედავ! ასე წახდა ჩვენი საქმე (მსახურთ მოუტრიალდება.) მოსასხამი და იარაღი, სწრაფად!

**ვანო და ხანდილა ფალავანდიშვილს შესცქერიან, როგორ მოვიქცეთო.**

სწრაფად-მეთქი! თუ მასპინძელი ასეთი მუხანათია, ტყვიით გავიკვლევ გზას.

**ფალავანდიშვილი.** უაზრობაა თქვენი საქციელი!

**ელიზბარი.** მასპინძელო, პატივი ეცი შენი ოჯახისა და ჩემს ღირსებას.

**ფალავანდიშვილი.** ტყუილად ბობოქრობ, სალდათების ტყვია ისევ აქ შემოგაბრუნებს, ან საბოლოო წერტილს დაუსვამს...

**ელიზბარი.** იარაღი-მეთქი!

**ფალავანდიშვილი** (მსახურთ). მოართვით.

**ხანდილა გადის და უმაღ ბრუნდება ელიზბარის მოსასხამითა და იარაღით.**

**ელიზბარი.** კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო! (გადის.)

**ჯამბაკური და სოლომონი წამოდგებიან.**

**ფალავანდიშვილი.** ერთი წუთით, ერთი წუთით!

**სროლის ხმა. ორჯერ გაისროლეს.**

**ჯამბაკური.** თავადო, ელიზბარი ჩვენი სისხლი და ხორცია.

**ფალავანდიშვილი.** მან თვითონ აიჩრია ეს გზა, არავის უბრძანებია.

## კვლავ გაისროლეს.

თუ გავა, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

## სროლა.

სოლომონი. რამე არ ევნოს...

ელიზბარი (შემოდის დაჭრილი, მკლავიდან სისხლი სდის). მე აქ მოვბრუნდი, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ მოსარკულ იატაკზე ჩემი სისხლი დაიდვაროს, ვიცი, ეს სისხლი ლაქად დააჩნდება ამ ოჯახს.

## სოლომონი მივარდება, მოსასხამს ხდის.

სოლომონი (ხმადაბლა). ხალათიც უნდა გაიხადო, ელიზბარ.

ელიზბარი. არა, რაც უფრო მეტ სისხლს დავღვრი ამ ოჯახში, მით უარესი მისი პატრონისთვის.

ჯამბაკური. სისხლისგან იცლები, შვილო, ელიზბარ!

ფალავანდიშვილი. ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალო!

ელიზბარი. იმ ორი სალდათის ცოდვა ვის კისერზე იქნება გუბერნატორო... ახლახან საიქიოს რომ გავგზავნე და ჩემს წინაპრებთან დავაბარე, საქართველოში ახალ-მოდურად როგორ მასპინძლობენ ხალხს!

ფალავანდიშვილი. თქვენ იმოდენა ცოდვა მიგიძღვით სახელმწიფოს წინაშე, რომ ორი გლეხუჭას სიკვდილს არც მოგკითხავენ.

ელიზბარი. მე სუფრაზე არ ვაპატიმრებდი ხალხს — ბრძოლის ველზე გავდიოდი, დასაჭერსაც იქ ვიჭერდი და მოსაკლავსაც იქვე ვკლავდი.

ფალავანდიშვილი. მთავარი ბრძოლა აქ მიმდინარეობს, მაგიდასთან. იქ კი საბრალონი ღვრიან სისხლს.

ჯამბაკური სტუმარს მიხედე, მასპინძელო! სისხლისგან იცლება.

ფალავანდიშვილი. ხანდილ, ვანო! კორნეტს მოუარეთ!

ვანო. აქეთ მობრძანდით, თავადო, აქეთ მობრძანდით, იმ ოთახში.

## ელიზბარი გაჰყავთ, სოლომონი მიაცილებს.

ფალავანდიშვილი (სოლომონს). თქვენ ნურსად გახვალთ, ჩვენთან უნდა დარჩეთ.

## სოლომონი მობრუნდება, დაჯდება.

(ფალავანდიშვილი ერთხანს დუმს, მერე ჯამბაკურს მიუბრუნდება.) მაპატიეთ, გენერალო, შემინდეთ, რომ სუფრაზე კი არა, სინამდვილეში სამსჯავროზე მოვიხმეთ, სხვა გზა არ მქონდა, რადგან ჩემს ახლო ადამიანთა შორის ერთ-ერთ გონიერ და წინდახედულ კაცად მეგულებით... ისიც ვიცი, რომ ელიზბარი თქვენი ახლობელია და პატივსა გცემთ.

ჯამბაკური (მძიმედ). გისმენთ, თავადო.

ფალავანდიშვილი. მე შემეძლო სხვებიც მეხმო და თავს ლაფი დამესხა ცთუნებას აყოლილი ქართველი თავადებისათვის, მაგრამ არც გახმაურება მინდა ამ საქმისა, იქნება, კიდევ ეშველოს რამე და ძირშივე ჩავკლათ ბოროტი ცთუნება, თორემ ახლა ტფილისის სალონებსა და დიდკაცთა კაბინეტებში ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებენ და ვინ იცის, ხვალ სად მივა ეს ამბავი, ამიტომაც გიხმეთ მხოლოდ თქვენ, ხალხიც გიგდებთ ყურს და გონებაც გიჭრით.

ჯამბაკური (მშრალად). იქნებ, პირდაპირ გეთქვათ, რა ამბავია!

ზავილეციკი. ზუსტად რვაზე გენერალი ტრეტილევიჩი მიმელის. უჩემოდ ჩაატარეთ ეს საუბარი. იმედი მაქვს, ბრძანებას გასცემთ სროლის გარეშე გამატარონ.

ფალავანდიშვილი. იმპერიის უშიშროება მოითხოვს, თქვენ აქედან არ გახვიდეთ.

ზავილეციკი. მე მაინც გავალ!



**ფალავანდიშვილი.** თქვენ აქედან გახვალთ ან ბორკილდადებული ან...

**თვალის დახამხამებაში ზავილეიციმ იარაღი ამოიღო. ჩახმახიც**

**შეაყენა, მაგრამ ფალავანდიშვილმა დაასწრო, გაისროლა კიდეც.**

იარაღი მაგიდაზე, სწრაფად!

**ზავილეიციმ იარაღი მაგიდაზე დაავლო.**

უკვე ხანში შეხვედით და ის სისწრაფე აღარ მოგდგამთ, რაც ოცი წლის წინათ გქონდათ.

**ზავილეიციმ სუფრას გაშორდება, ფანჯარასთან მიდის და კვლავ ჩიბუნის ბოლში გაეხვევა.**

**ჯამბაკური.** განაგრძეთ ნიკოლოზ, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ერთმანეთს არ დაეხმობათ.

**ფალავანდიშვილი.** არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... ამ დილით ჩემთან იყო გენერალ-მაიორი და მგოსანი ალექსანდრე ჭავჭავაძე. (უხმოდ დადის დარბაზში.) თურმე საქართველოში შეთქმულება ყოფილა. მოქეიფე ქართველ თავადებს უქმად ყოფნა მობეზრებით და მეფის ჯარის საქართველოდან გაძევება განუზრახავთ. მე ვიცი, რასაც ნიშნავს ჩვენი თავადების ზრახვანი — რალაცას გადასწყვეტენ, აყა-ყანდებიან, აქოთქოთდებიან, რომ სალონებში მათზე იჩურჩულონ, დახეთ, რა გმი-რები არიანო, მაგრამ ამჯერად... ამჯერად ეს შეთქმულება უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე მე მეჩვენებოდა.

**ჯამბაკური (გაოგნებული).** კი, მაგრამ... ისა... ადრე არაფერი იცოდით? ყველაფერი დღეს გაიგე?

**ფალავანდიშვილი.** არარად ჩავთვალე ამათი წრიალი, გართობის მოსურნე თავადები რას არ მიეღებიან-მეთქი. ამათ კი აჯანყების დღეც დაუნიშნავთ უკვე... აჯანყება უნდა შესდგეს 20 დეკემბერს, სათავადაზნაურო არჩევნების დღეს, გეგმა ასეთია: თავადაზნაურთა მარშლის არჩევნების შემდეგ, თავადი ლუარსაბ ორბელიანი თავის სახლში იწვევს რუს ოფიცრობას...

**ჯამბაკური.** შენ იმას მიაბობ, რაც უნდა მომხდარიყო, თუ...

**ფალავანდიშვილი.** რაც უნდა მომხდარიყო... ასე უნდა დაწყებულიყო მოქეიფე ქართველ თავადთა გართობანი (დუმილი. მოღლილი ხმით.) უფრო სწორედ, ამათ მიერ მოტყუებული ხალხის სისხლის ღვრა, რადგან არაფერია იმაზე იოლი, ვიდრე ქართველთა შეყრა ცეცხლის გენიაში, ჩვენ ხომ ამ თვალდახუჭულმა სიყვარულმა დაგვაჩიავა, თორემ რატომ უნდა იყოს ქართველობა ასე მცირედი, მუდამ განუსჯელად ვიბრძოდით და ვწყდებოდით კიდეც, ერთ დამახილზე გადა-ვეშვებოდით და ვიხოცებოდით. რამდენი გვავნო ამ განუსჯელობამ, რამდენი გვავნო... (დუმილი. სივრცეს მიაჩერდება.) ამ დილას გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს სურდა მეც შეთქმულების წევრი გავმხდარიყავ. ეს კი თითქმის გამარჯვებას ნიშნავსო. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ის კი გამორჩა მგოსანს, რომ ზოგიერთი გამარჯვებით იწყება უბედურება. (დუმილი. ფალავანდიშვილი დარბაზში დააბიჯებს. ირონიით.) და აი, დღეს სადილზედ მოვიწვიე შეთქმულების ორი მოთავე — ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაევი. (შეთქმულთ მოუტრიალდება.) მესამე მოთავე და სულისჩამდგმელი თქვენი საქმისა ჩემი ძმა-- იასე ფალავანდიშვილი ჩემმა კაცებმა ვერსად იპოვეს, ალბათ, სადმე პურსა სჭამს, ხოლო მეოთხე მოტივე-- ალექსანდრე ორბელიანი მცხეთას წაბრძანებულა დილაადრიან, მოვიწვიე აგრეთვე შეთქმულების უცხო მონაწილენიც. საქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეიციმ და დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო. ქალაქში ვერსად მიაგნეს საფრანგეთის საკონსულოს მდივნის ლეტელიეს

კვალს. ამბობენ, წუხელ ტფილისიდან საიდუმლოდ გაემგზავრაო. ლეტელიემ იცის: პატრუქს უკვე ცეცხლი უკიდია და აქაურობას გაეცალა. თუ ეგ ცეცხლი რუსეთს თითებს დასწვავს, თავის ქვეყანაში თავს მოიწონებს, აი, როგორი პანდური ვკარი კავკასიაში ნიკოლოზსაო, ხოლო თუ არაფერი გამოვიდა, უკვე შორს იქნება და მან არაფერი იცის... ვერსად მივაკვლიეთ ტფილისის ყოფილ პოლიცმაისტერს მელნიკოვსაც – ასევე ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს შეთქმულებისა.

**ჯამბაკური.** აქ რაღაც სხვა ამბავია, თავადო... იქნებ, ეგენი რუსეთს კი არა, სხვა რამეს ებრძვიან, თორემ... რუსები რუსეთის წინააღმდეგ?

**ფალავანდიშვილი.** რისი თქმაც შემძლო, გითხარით. ახლა ერთად განვსაჯოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ საქართველო გადავარჩინოთ.

**ავანსცენას გადასჭრის ბერი – დაძონძილი, დაფლეთილი, გაძვალტ-ყავებული ნელი ნაბიჯით მიდის, ხელში ჯვარი უჭირავს.**

**ბერი.** ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვდა თავისი მდგომარეობა, აქვდა თავისი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არც მონა, ვითარცა აწ არს მამული ჩვენნი, და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ, ხოლო აწ ჰხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შევიწროებასა ყოვლისა კაცისასა, რაისთვის არს ესე ესრეთ, ნუ უკვე, ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე, ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე, ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენსა მამათ ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა. მაშა, რაისთვის ცოცხალ ვართ.

**ჯამბაკური.** ნუ უკვე, ჩვენ არ ძალგვიძს... ნუ უკვე, ჩვენ არ ძალგვიძს, მაშა, რაისთვის ცოცხალ ვართ, მაშა, რაისთვის ცოცხალ ვართ.

**ფალავანდიშვილი.** გესმით, გენერალო, ამ ცხარე სიტყვებით აღაგზნებენ ქართ-ველთ გულებს, რომ გენიაში შეჰყარონ ისინი და თვითონ ქრისტე წამებულის გვირგვინი დაიდგან, მხოლოდ ისე, რომ დილა-საღამოს ქეიფიც არ გაანელონ.

**ჯამბაკური** (ყველას ჩამოუვლის). რატომ არაფერს ამბობთ, სოლომონ? აკი მიკვირდა, როდის იყო საქართველოს გუბერნატორი თავის ოჯახში ტყვიას ისროდა და ხალხს აპატიმრებდა-მეთქი. თქვენ – ზავილეციკი? (ზავილეციკი არც მობრუნებულა, პაუშენკოს.) თქვენ ყმაწვილო, თქვენ...

**პაუშენკო** (ფეხზე წამოდგება, მოწიწებით). პაუშენკო, გენერალო, პაუშენკო.

**ჯამბაკური.** ან თქვენ, პაუშენკო! სად თქვენ და სად რუსთა ჯარის საქართველოდან განდევნის საკითხი... როგორ, რანაირად?

**ღუმილი.**

**ფალავანდიშვილი.** მოდით, გენერალო, რამე წავიხემსოთ, დილიდან აფორიაქებული ვარ და ვერაფერი გეახელით, თითო ლუკმა შევჭამოთ, ამათაც დრო მივცეთ თავიანთი ცხოვრება და მომავალი მოიფიქრონ. აჩქარებული პასუხი არავის უნდა.

**ჯამბაკური.** რა დროს ჭამაა, გუბერნატორო, ქვეყანა თავს გვემხობა.

**ფალავანდიშვილი.** აქეთ მობრძანდით. ახლა სადავეები ჩვენს ხელთ არის და ცუდი არაფერი არ უნდა მოხდეს. (შეთქმულთ მოუტრიალდება.) მობრძანდით, სუფრას მოუსხედით, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, გნებავთ, იქეიფეთ, ვინ იცის, ხვალ რა დილა გათენდება. (მსახურთ გასძახაის) ხანდილ, ვანო! (ხანდილა და ვანო სუფრასთან მოდიან, ღვინოს ჩამოასხამენ.) და ამ ერთ ნაჭერ ხორცს, ამ ერთ

ციცქნა შოთის პურს, ამ დაწინაწკლულ კალმასს, რა ფასი დაედება თქვენთვის. (ხმადაბლა) იქნებ, ისეც წავიდეს საქმე, რომ რამდენიმე წელიწადს თვალის ვერ

მოჰკრათ ყველაფერ ამას. (ფალავანდიშვილი და ჯამბაკური სუფრას მიუსხდებიან. გვესმის ხმადაბალი გადალაპარაკება.)

- ინებეთ, გენერალო.
- გმადლობთ, უკვე გეახელით.
- მე თუ არ წავიხემსე, არ შემიძლია.

**შეთქმულნი დარბაზში დააბიჯებენ, ზავილეიცკი კვლავ ჩიბუხის ბოლშია გახვეული. ნელ-ნელა ბნელდება.**

- ასე მგონია, თავბრუ მეხვევა.
- ღვინოს მიირთმევთ?
- ცოტას.
- მაშ, მეც გეახლებით, თორემ ყელი გამიშრა.

**დაბნელება.**

## მოქმედება მეორე

იგივე დარბაზი. ფალავანდიშვილი და ჯამბაკური კვლავ სუფრას უსხედან. ჩიბუხის კვამლში გახვეული ზავილეიცკი ფანჯარასთან დგას. პაუშენკო ფეხი ფეხზე გადადებული ზის. ახლა მის გამოსხდვაში მეტი თავდაჯერებულობა და ზვიადი ბუნება გამოსჭვივის. ფიქრებში ჩაფლული სოლომონი სავარძელში მოკალათებულია.

**ფალავანდიშვილი** (ჯამბაკურთან ხმადაბლა ბაასს განაგრძობს). დაბეჯითებით ვამბობ, რომ ღვინოზე არსად მოიძებნება ჩვენნაირი ღვინო, ხომ ამდენ ჯაფასა და ძალას ალევს ქართველი კაცი ვენახს, მაგრამ ასე უყაირათოდაც არავინ ექცევა, როგორც ჩვენ. ამ ოფლით მოპოვებულს ისე იოლადა...

**ჯამბაკური**. კი, მაგრამ... დარწმუნებული ხარ, რომ ეს ყველაფერი მართალია?

**ფალავანდიშვილი**. რა? ღვინოს რომ უნამუსოდ ვექცევით, ისა?

**ჯამბაკური**. არა, თავადი ჭავავაძე მოვიდაო, აი, იმათი ამბავი.

**ფალავანდიშვილი**. კანტი-კუნტად აქამდეც მომდიოდა ხმები, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე — ღვინით ტვინგახურებული თავადები რას არ აჩემებენ-მეთქი, დღეს კი (შეყოვნდება, რაღაც აზრმა გაუელვა.) ვგონებ, მართალს მეუბნება ზავილეიცკი: ჩემი მსტოვრები არაფერს აკეთებენ სახაზინო ქონების ჭამა-სმის გარდა, თორემ აღრევე დაწვრილებით უნდა მცოდნოდა ყველაფერი.

**ზავილეიცკი** (მოუთმენლად). დიდხანს გაგრძელება ეგ თქვენი სადისტური ქეიფი?

**ფალავანდიშვილი**. როგორ შეიძლება გემრიელად მიირთვას. ან იქეიფოს გუბერნ-ტორმა, როცა სახელმწიფოს მტრები ოჯახში ჰყავს.

**ზავილეიცკი**. თქვენ, ტფილისის დღევანდელ გუბერნატორს, ტფილისის ყოფილი გუბერნატორის პატიოსანი სახელი გიღრღნით გულს, თუ ეგ რაღაც სისულელე, შეთქმულებას რომ უწოდებთ?

**ფალავანდიშვილი**. ვერ გავიგე...

**ზავილეიცი.** თქვენ ისე აშკარად ებრძვით ჩემს ავტორიტეტს, ხელმწიფის წინაშე დამსახურებას, რომ...

**ფალავანდიშვილი.** ამ წუთში გაქვთ საბაბი ხმამაღლა მელაპარაკოთ, მაგრამ არავითარი უფლება არა გაქვთ ეჭვი შეიტანოთ თავად ფალავანდიშვილის კეთილ-სინდისიერებაში.

**ზავილეიცი.** აი, რას გეტყვით, ძვირფასო, მე პატივს ვცემ თქვენს სიფხიზლეს,

სახელმწიფოს ინტერესებისათვის ბრძოლას, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მაგ შეთქმულებისა არაფერი ვიცი, (ბრაზით.) ან სად გაქვთ თქვენ, — ქეიფსა და ღროსტარებას გადაყოლილ ქართველებს იმის უნარი, გაუძღვანდეთ უზარმაზარ სახელმწიფოს მანქანას. ჩვენს დროში, ფალავანდოვ, სახელმწიფო გადატრიალებას ფილოსოფოსნი ამზადებენ, თქვენი ყველაზე ხნიერი ფილოსოფოსი კი, აი, ის ყმაწვილი, სოლომონ დოდაევი, 30 წლისაც არ არის, სამაგიეროდ, თქვენ გყავთ ჩინებული ღვინის მსმელები, მოქეიფენი, მეომრები, მებრძოლნი, თავიდან ამოიგდეთ ეგ აზრი! არავითარი შეთქმულება ტფილისში არ არის და არც შეიძლება არსებობდეს. შეთქმულებას ის ხალხი აწყობს, ფალავანდოვ, ვინც სახელმწიფო ინტერესებით ცხოვრობს, დღევანდელ საქართველოში კი ყველა თავისთვისაა, ყველა ცალ-ცალკე ოხრავს ძველი დიდების დაკარგვის გამო, მომავალზე კი არავინ ფიქრობს. ასე რომ, ეგ ყველაფერი ან ჩვენი მტრების მოგონილია, ან...

**ფალავანდიშვილი.** ან ჩემი, რომ ხელმწიფეს ერთგულება დავუმტკიცო და ჩინი მოვიმატო?

**ზავილეიცი.** არც ეგ გამიკვირდება. (დაჯდება.ღუმილი).

**ფალავანდიშვილი.** ალბათ, თქვენც იგივეს მეტყვით, პაუშენკო.

**პაუშენკო.** არა, მე იგივეს არ გეტყვით.

**ფალავანდიშვილი.** მიბრძანეთ, გისმენთ.

**პაუშენკო.** მე შეთქმულებას არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, იგი არსებობდეს კიდევ, რადგან ახლა ძალიან უჭირს ქართველობას, (შეყოვნდება.) თუ თქვენში ხალხს ყავს ვინმე ისეთი გონიერი პიროვნება...

**ფალავანდიშვილი** (ირონიით). მაგრამ თქვენ, ცხადია, ამის თაობაზე არაფერი იცით.

**პაუშენკო.** დიახ, მე არაფერი მსმენია.

**ფალავანდიშვილი.** გასაგებია. (ღუმილი. ფალავანდიშვილი დარბაზში დააბიჯებს.) მე არც ვაპირებ ძიება ჩავატარო, მართლმსაჯულებას მიგგვრით, დაე, იქ გაარკვიონ ვინ მტყუანია და ვინ — მართალი, მაგრამ მე მახელებს ზავილეიცი. კეთილმო-ბილი, ხელმწიფისგან პატივდადებული კაცი, რომელიც წლების განმავლობაში იყო გუბერნატორი ტფილისისა. ჯერ იყო და რა დღეში აგდებდა ქართველობას, ისე მოუჭირა არტახებს, რომ ხალხს სულ ნიკოლოზის აუგი ეთქვა. ქართველი კაცი ხომ ნიკოლოზის კანონებს ზავილეიციის მეოხებით იგებდა.

**ზავილეიცი.** ეგ ყველაფერი რიტორიკაა, გუბერნატორო, თქვენ არ შეგიძლიათ თუნდაც ერთი მაგალითი მოიყვანოთ ხელმწიფისადმი ჩემი ორგულობისა, იმისა, რომ მე ქართველ ხალხს ვამხედრებდი.

**ფალავანდიშვილი** (მცირე პაუზის შემდეგ). ვგონებ, უნდა იცოდეთ, რაოდენ პატივს ვცემ თქვენს განათლებულობას, გონიერებას, შორსმჭვრეტელობას, მაგრამ... უნდა იცოდეთ, რომ ეგრე იოლად ვერ გადავწყვეტილი თქვენს აქ მოყვანას, მე ვიცი ვისთან მაქვს საქმე.

**ზავილეიცი.** ეგ ყველაფერი რიტორიკაა-მეთქი, გუბერნატორო. მე კი ფაქტები მოგთხოვეთ.

**ფალავანდიშვილი.** ერთი ეს მითხარით... ვარშავის აჯანყების დაწყებისთანავე ღამის

თერთმეტ საათზე ვინ დაიბარა ალექსანდრე ორბელიანი და ვინ მოსთხოვა ტფილისშიც სასწრაფოდ უნდა დაიწყო ბუნტით.

**ზავილეიცი.** ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი.

**ფალავანდიშვილი.** ყოველი შეთქმული თავადი გაიძახის, აჯანყების წინა ღამეს ჩემს გლეხებს აქ მოვასხამ და ვაბრძოლებო, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ურმიდან გადმომხტარი ოყროფი დღეს აჯანყებას ვერ მოიგებს. ამიტომ ზავილეიცი აგროვე-ბს ტფილისში მცხოვრებ პოლონელთ და უმაღლეს თავს უყრის ხუთას მეზარბაზნეს.

**ჯამბაკური** (გაოცებული). ხუთას მეზარბაზნეს?

**ფალავანდიშვილი.** დიახ, ხუთას გაწვრთნილ კაცს, რომლებიც შარშან, შარშანწინ პოლშის ფრონტზე იყვნენ, იბრძოდნენ, იციან როგორ იხმარონ იარაღი.

**ჯამბაკური.** მერედა ეგ ხუთასი ზარბაზანი სადა გაქვთ?

**ფალავანდიშვილი.** ზავილეიცი კი მეუბნება, აჯანყებისა არაფერი ვიციო.

**ზავილეიცი.** ეგ ყველაფერი მეფის ორდენებზე სულწასული კაცის გამონაგონია, გუბერნატორო. ამას ყველა მიხვდება. მე გეუბნებით, საქართველოში არც ყოფილა რამ შეთქმულება და არც იქნება. ტყუილად ნუ ასტეხთ ალიაქოთს.

**ელიზბარი** (შემოდის მკლავმეხვეული). შენ მართალი ხარ, გუბერნატორო, ჩვენ შეთქმულება გვაქვს.

**ყველა გაოცებული მოუტრიალდა ელიზბარს.**

**ხანგრძლივი ღუმილი.**

ჩვენ ყველანი შეთქმულები ვართ და შენც ჩვენს შორის უნდა იყო. სამშობლოს იცავდე, რადგან გონიერი კაცი ხარ, შენი თათბირი დიდად გვჭირდება. ხოლო თუ უარს იქნები... თავიდან უნდა მოგიშოროთ.

**ფალავანდიშვილი** (იარაღზე წაივლო ხელი, თითქოს ახლა ესხმიან თავს). მე უნდა მომკლათ?

**იმედგაცრუებულმა ზავილეიციმ ბრაზით ჩაიქნია ხელი და მოსაუბრეთ გაშორდა, პაუშენკომ გაიღიმა, არც განძრეულა. სოლომონი კვლავ სავარძელს დაუბრუნდა.**

**ჯამბაკური** (თითქმის თავისთვის). რა სიკეთე უნდა მოუტანოს ერს შეთქმულებამ, რომელიც ძმის მოკვდინებით იწყება.

**ელიზბარი.** თუ მართლა გიყვარს სამშობლო შენი, თუ მართლა ქვეყნის ერთგულ კაცად მიგაჩნია თავი, შენც ჩვენს შორის უნდა დადგე, ჩვენი შეთქმის წევრი უნდა გახდე.

**სოლომონი.** დღეს ქართველი კაცისთვის სხვა გზა არ არსებობს.

**ზავილეიცი.** მე არ ვიცი, რა შეთქმულებაზე ლაპარაკობს თავადი, ეგ შინაურული საკითხები თქვენ გაარკვიეთ, მე კი მეჩქარება.

**ფალავანდიშვილი.** თქვენ, პაუშენკო, თქვენც წასვლა გეშურებათ?

**პაუშენკო** (მცირე ღუმილის შემდეგ დაბეჯითებით). არა, მეც ამათ შორის გახლავართ.

**ფალავანდიშვილი** (თითქმის ხმადაბლა). გა-სა-გე-ბია... (თქვა და სავარძელში ჩაჯდა. ღუმილი. ზავილეიციმ ღარბაზი გადასჭრა. გავიდა.) მაშ, თქვენ გინდათ, მეც შეთქმული გავხდე?

**სოლომონი.** ეს თითქმის გამარჯვებას ნიშნავს. (ფალავანდიშვილმა სოლომონს ახედა, კარგა ხანს აცქერდება, შემოდის ზავილეიცი. მოსასხამი მოუსხამს, წასა-სვლელად გამზადებულა.)

**ზავილეიცი** (ფალავანდიშვილს). თქვენ იცით, რომ მე არსად არ გადავიკარგები. ამიტომ ნება მომეცით, ახლა გამოგეთხოვოთ. (ფალავანდიშვილს მიუახლოვდება, ზავილეიცი ხელს გაუყრის, ორიოდ ნაბიჯს ერთად გადადგამენ.) ძალიან მეჩქარება, მაგრამ მაინც მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ: პატიოსანი კაცი, ნიკოლოზ, სადაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს, თავის ხალხს უნდა ამოუდგეს გვერდით, მას უნდა მიჰყვეს.

**ფალავანდიშვილი.** ჩემმა ერმა კარგა ხანია ეგ საკითხი გადაწყვიტა, და მე...

**ზავილეიცი.** ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოს ბედი დღეს მხოლოდ საქართველოში არ წყდება. ჩვენ ყველანი ერთი ჯაჭვის ნაწილები ვართ.

**ფალავანდიშვილი.** მე სწორედ მაგ ჯაჭვის ერთიანობას ვარ მოწადინებული.

**ზავილეიცი.** ნუ აჩქარდებით, წინ გაიხედეთ, მომავალი დღეს დაინახეთ. ახლა კი ნება მომეცით, დაგემშვიდობოთ.

**ფალავანდიშვილი.** ხანდილ, ვანო! (ხანდილა და ვანო კარებში ჩადგნენ.) გააცილეთ!

**ზავილეიცი** (მხედრულად ემშვიდობება). გამარჯვებას გისურვებთ, ბატონებო,

ღმერთმა ქნას, გონივრული განაჩენი გამოუტანოთ თქვენს სამშობლოში (გადის).

**ელიზბარი** (ჯამბაკურს შემტევი ტონით). ერთი ეს მიბრძანეთ, გენერალო, რატომ არ უნდა გქონდეთ თქვენ, თავად ორბელიანს, საქართველოში ცხოვრების უფლება?

**ჯამბაკური.** მერედა ვინ დამიშალა, ვინ წამართვა ეგ უფლება?

**ელიზბარი.** ხელმწიფე იმპერატორის ახალი ბრძანება მოვიდა, მუხრანსკები, ორბელიანები, ერისთავები, ანდრონიკოვები საქართველოდან აჰყარეთ და შორეულ მიწაზე გადაასახლეთ.

**ფალავანდიშვილი.** ისევ ზავილეიცი! გაიგეთ ქართველნო, ეგრე იოლად ნუ წამოეგებით მაგ ცრუ ანკესსა. პოლშელთა მარცხით გულმოკლული ზავილეიცი გახელებთ, რომ აქედან წაჰკრას წიხლი ხელმწიფე იმპერატორსა და თან ისე წაჰკრას, კბილები იმან კი არა, თქვენ ჩაიმტვრიოთ.

**ელიზბარი.** ზავილეიციის წაქეზება რად მინდა, როცა თავად ვხედავ, თუ როგორ უკუღმართდება დღენი ჩემი ქვეყნისა, იმპერატორმა ისეთი წესები შემოიღო, რომ თავადს თავადური პატივი აღარა აქვს და აზნაურს – აზნაურული. ხელმწიფის მაგ კანონით ყოველ გლეხკაცს შეუძლია თავადს სასამართლოში უჩივლოს. აი, აქამდე მიიყვანეს საქმე.

**ჯამბაკური.** მერედა, თქვენ გინდათ მაგ ახალ კანონებს ებრძოლოთ? მეფის წინააღმდეგ ბრძოლა განგიზრახავთ?

**სოლომონი.** დიად, გენერალო! მხოლოდ ბრიყვს მოეჩვენება, რომ ჩვენ რუსეთს ვებრძვით, ყველა ერთად – რუსნიც, ქართველნიც უკეთეს რუსთა შვილების დამორგუნველ ხელმწიფეს ვებრძვით, ქართველთა ტახტის იავარმქმნელ ხელმწიფეს.

**ფალავანდიშვილი** (კითხულობს). „მეფე გიორგი ტფილისის კართან ათი ათასი მოზიემე კაცით შეხვდა გენერალ ლაზარევის არმიას, ხოლო ამფითეატრივით გაშენებული ტფილისის სახლების სახურავები სავსე იყო თეთრად მორთული ქალებით... ზარბაზნების გასროლა, ყველა ეკლესიაში ზარების რეკვა, ქუჩებში ცეკვა-სიმღერა, სინარულის გამომხატველი შეძახილები და ცრემლებიც კი, განსაკუთრებით ქალებისა, გვიდასტურებდნენ ძმურ მიღებას და გულწრფელ ერთგულებას ქართველი ხალხისა. მეორე დღეს მეფემ განკარგულება გასცა ლაზარევის არმიისათვის მიერთმიათ 150 ვედრო ღვინო“. ამას სწერდა მინისტრი კოვალენსკი, რომელიც ლაზარევის არმიას ჩამოჰყვა ტფილისში, იქნება, არა გჯერათ?

**სოლომონი.** გვჯერა, რატომ არა გვჯერა.

**ელიზბარი.** დღეს გუბერნატორად წოდებული გუშინდელი გლეხი ისეთი ტონით მეუბნება ლაზარევის ტფილისში მობრძანებას, თითქოს იმ დამხვდურთა და მოხეიძეთა შორის არ ყოფილიყოს მამაჩემი შანშე ერისთავი — რუსთა და ქართველთა დამძობილებისათვის მებრძოლი კაცი.

**ფალავანდიშვილი** (მცირე დუმილის შემდეგ). ორი რამ უნდა გითხრათ, კორნეტო, პირველი—თავადობით თავის მოწონება დიდი ვერაფერი შეიღია, თავადის გაპირუტყვევებას, გლეხის გათავადება სჯობია. მეორეც — ვიცი, თუ როგორ ცდილობდა განსვენებული მამათქვენი რუსთა და ქართველთა დამძობილებას, ისიც ვიცი, რომ შორსმჭვრეტელი იყო შანშე ერისთავი და ამიტომ თქვენი აჩქარება...

**ელიზბარი.** მამაჩემი შორსმჭვრეტელი იყო, მაგრამ რუსთა ფლიდობას ვერ მიხვდა. მეორეც — მე არა რუსეთი იმპერატორის გაუტანლობა მიკოდავს გულსა.

**სოლომონი** (ფალავანდიშვილს). ის რატომ გავიწყდებათ, რამდენიმე თვეში რა მისწერა კოვალენსკიმ პეტერბურგს?

**ჯამბაკური.** რაო, ასეთი რა მისწერა?

## 26.

**ელიზბარი.** „მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მეფემ ჩინებულად მიიღო ლაზარევი — თავისი საცხოვრებელი სახლიც კი დაუთმო და თავად ავლაბარში გადავიდა, მაინც ძალზე გამომწვევად იქცევა ლაზარევი. თავი ისე უჭირავს, თითქოს კოლონიაში არის“.

**ჯამბაკური.** ლაზარევი რა ძალლიც იყო, ისე წაუვიდა საქმე! ვინც ჩვენი მეგობრული გული ვერ გაიგო, ყველა თავის ბოღმასა და ბრაზში ჩაკვდა. ლაზარევი რა მოსატანია, მის გვერდით ხომ იგივე კოვალენსკი იდგა, ასე რომ სწუხდა ლაზარევის არაკაცობის გამო!

**ელიზბარი.** რატომა ხართ ასეთი გულუბრყვილონი! გგონიათ, ლაზარევი ბოროტი სული იყო, კოვალენსკი — კი კეთილი? ორივეს თავ-თავისი მისია ჰქონდა საქართველოში. ლაზარევს რაც დაავალა ხელმწიფემ, იმას ასრულებდა, კოვალენსკის კი კეთილი ღიმილი, ღმობიერება უბრძანეს, ლაზარევის გაწულ სილაზე შენ გრიღ-გრიღი საფენები დაადე ქართველებსაო.

**ფალავანდიშვილი.** მოკლედ მითხარით — რას მოითხოვთ რუსებისაგან.

**ელიზბარი.** ქართველთა და რუსთა ნამდვილ მეგობრობას.

**ფალავანდიშვილი.** დალაგებულად ამიხსენით ყველაფერი.

**ელიზბარი.** თავიდათავი ჩვენი წადილისა გახლავთ გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 წლისა. მუხლობრივად უნდა სრულდებოდეს ყოველი პუნქტი ტრაქტატისა, რომელიც ორი დიდი ხელმწიფის, ეკატერინესა და ერეკლეს მიერ არის ნაკურთხი.

**სოლომონი.** ქართველთა და რუსთა მეფეებმა ჩინებულ ტრაქტატს მოაწერეს ხელი, მაგრამ შემდეგ რუსთა ტაციაობამ მეგობრობისა და მფარველობის სურვილი დამპყრობლობის მბრძანებლური ტონით შესცვალა. სწორედ ეს გვიშფოთებს სულსა.

**ელიზბარი.** ჩვენი აჯანყების მიზანიც ის უნდა იყოს, რომ იმპერატორი ვაიძულოთ პატივი სცეს ტრაქტატს გეორგიევსკისას.

**ჯამბაკური.** განა რუსთა მეფე რუსი ხალხის ნებას არ ასრულებს?

**პაუშენკო.** რუსი ხალხის ნება სხვებს უნდა გაესრულებინათ: პესტელს, რილეევს, ბესტუჟევს...

**ჯამბაკური**(ბრაზით). მეფისაგან გმობილ მაგ სახელთა ხსენებისაგან თავს შევიკავებდი!

**პაუშენკო.** უკეთეს რუსთა სახელებია ესენი, გენერალო, ეს სახელები უფრო ადიდებს რუსეთს, ვიდრე ეგ თქვენი სათაყვან ომეფე!

**ფალავანდიშვილი.** პირდაპირ სთქვით — რა გეპირებათ, შეთქმულნო!

**ელიზბარი.** გეპულსიმპერატორი რუსეთისა! ჩვენი მიწა-წყალი უკაცურ, საჯიჯგენ კუნძულად მიაჩნია, ქართველობა კი ველურ ხალხად.

**ფალავანდიშვილი.** ბარემ ისიც მითხარით — მაგ სიძულვილს გზას საით აძლევთ.

**ელიზბარი.** შენ უკვე ყველაფერი იცი, გუბერნატორო, ჭავჭავაძე გონიერი კაცია და ამიტომ მოვიდა შენთან, რომ ნაღდი გამარჯვება გვქონდეს.

**ფალავანდიშვილი.** მე მინდა უფრო დაწვრილებით ვიცოდე, რა და როგორ გეპირებათ. დამარწმუნეთ, რომ საქართველოსთვის ასე სჯობია და თქვენთან ვიქნებით, ოღონდ კი დამარწმუნეთ.

**ჯამბაკური.** გეორგიევსკის ტრაქტატისადმი ერთგულებას მეც მითქვამს გული. ჩემი ხალხის სიკეთე მწამს და მისი გამარჯვება მინდა, ოღონდ... რაღაც...

**ელიზბარი.** ღმერთი ჩვენკენაა. ბიძაჩემო, ერთ კვირაში იწყება თავად-აზნაურთა არჩევნები, საღამოს კი ვახშამი იქნება ლუარსაბ ორბელიანისას. ნადიმზე მოვლენ

ყველაზე გაბედული ქართველი თავადნი, ნაშუაღამევს, როგორც კი თათრის მოედნიდან ნიშანს მოგვცემენ, ვიწყობ ხოცვა აფიცრობისა, რომ ვერცერთმა ვერ შესძლოს მეთაურობა თავის ჯარისა. ასე რად იღიმი, თავადო?

**ჯამბაკური.** ცუდ დღეს მოვესწარ ჩემს ქვეყანაში — როდის იყო ქართველი ნადი-მზე მოწვეულ კაცს ტყვიას ესროდა. სისხლისფერი აქვს თქვენს შეთქმას, შვილო!

**ელიზბარი.** კი, ბატონო, ოღონდ ნებით გაგვეცალონ და დარიალამდე სულ ცეკვა-თამაშით მივაცილებ, დაფა-ზურნასა და ცივ-ცივ კახურს არ მოვაკლებ არც აფიცრობას და არც სალდათობასა.

**ფალავანდიშვილი.** დაბრძანდით, ბატონებო!

**ერთხანს დუმილია გამეფებული.**

მაშ, მე გეტყვით ჩემს აზრსა.

**პაუზა.**

მეფის ჯარის გაძევებით საქართველოც დაემხობა.

**ჯამბაკური.** რუსის ჯარის მტვერი ვლადიკავკაზთანაც არ იქნება დამცხრალი, რომ იმპერატორი ორ იმდენს გამოგზავნის, აგვაოხრებენ და მაშინ მართლა დაპყრობილი ქვეყანა ვიქნებით, უხმო და უუფლებო.

**ფალავანდიშვილი.** და თუ იმპერატორმა ეს არ იკადრა, მაგ თქვენს თავისუფალ სამშობლოს უმაღლ სპარსი და თურქი დაუწყებს კორტნას.

**სოლომონი.** ამ ომის შემდეგ სპარსი ისე დაკუტდა, საკუთარი თავიც გასჭირვებია.

ვერც ოსმალო შემოგვბედავს რასმე — ეგვიპტის ფაშა სტამბოლისაკენ მიიწევს, იბრაჰიმ ფაშა კი უკვე არზრუმშია.

**ჯამბაკური.** ეგვიპტის ფაშა! იბრაჰიმ ფაშა! სპარსი! ოსმალო! არზრუმი! როგორ ვერა გრძნობ, რომ მაგ ფაშებს — ეგვიპტისა იქნებიან, თუ სტამბოლისა, ჩვენკენ უჭირავთ თვალი და ხვალ ერთ ძალად იქცევიან, აგვაოხრებენ, გაგვაპარტახებენ, ჭკუით იყავით, ქართველნო. თორემ ისე გავნადგურდებით, კაცისშვილი ვერ შეიტყობს ჩვენს წივილსა.

**სოლომონი.** შეიტყობენ და ქვეყანასაც შესძრავენ!



**ფალავანდიშვილი.** ვინა? იმ ქარაქუცა დესპანის ლეტელიეს პარიჟს ჩატანილი ამბით ფრანგები თვალებს დაითხრიან? ვიცი, ყველაფერი ვიცი: ერთ-ორ გაზეთში დასწერენ ეგრე და ეგრე იყო და ამით პარაკლისსაც გადაგვიხდიან.

**ელიზბარი.** მაშ, აღარ ყოფილა ხსნა, აღარ ყოფილა საშველი!

**ჯამბაკური.** ამასაც განა შენი სიყვარულით იზამენ, განა იმიტომ, რომ საქართველოზე შესტკივით გული, ნიკოლოზის ჯიბრზე ასტეხენ მოჩვენებით ვიშვიშსა. ნიკოლოზს რომ გადაჰკრან მათრახი. რუსთ უერთგულეთ, შვილებო, რუსთ, თორემ...

**ელიზბარი.** თუ არ ვუერთგულეთ, რა ბედი გველის, ასე რომ გვამწყალობებ, მეფის გგენერალო!

**ჯამბაკური.** ქვეყანას წაახდენთ, საქართველოს მზეს დაუბნელებთ, რადგან ჭეშმარიტი მშვიდობა და გაფურჩქვნა ჩვენი ქვეყნისა...

**ელიზბარი** (ტრანსში). მონა!

**ყველა შეცბა, ელიზბარს მოუტრიალდნენ.**

მონა-მეთქი, აი, მონა! (ჯამბაკურს მივარდება, ეპოლეტებსა და ორდენებში ხელი ჩაავლებს, ლამის ჩამოგლიჯოს.) აი, ნიშანი მონობისა, აი ნიშანი! რუსთ ხელმწიფემ იცის, როგორ დაიმონოს ჩვენი სულები!

**ჯამბაკური უძრავად დგას, თითქოს მას არც ეხება ეს ამბავი. ფალავანდიშვილი გულგრილად შესცერის, თითქოს ცხენი მიუშვა საბალახოდ და ელოდება როდის იჯერებს გულს. პაუშენკო ფანჯარასთან მიდგა.**

**სოლომონი** (ელიზბარს მიუახლოვდება, ხმადაბლა). რა მოგივიდა, ელიზბარ, დაიოკე თავი!

**ჯამბაკური** (ელიზბარს სახეზე ხელი მოუსვამს). რა მოგივიდა, ბიჭო!

**ელიზბარი.** შემინდე, ბიძაჩემო! თუ შეგიძლია, შემინდე... მაპატიე!

**ჯამბაკური.** მე კი შეგინდობ მაგ აჩქარებას, შვილო, მაგრამ საქართველოს რა პასუხს აძლევ: სპარსმა, ოსმალომ რომ ცოლი და პირმშო კიდევ გადაგვითელოს, ცოტაც და აღარაფერი შეგვრჩებოდა ქართული — ჩვენს სიმღერებში მათი ჰანგიც გაერია, ჩვენს ძარღვებში მათი სისხლიც დარბის, თავნება ციკანივითა. ვიცი, განა არ ვიცი, უნამუსოდ მოიქცა რუსთ ხელმწიფე — მოგვატყუა, ტახტიც წარწყმიდა ჩვენი და ეკლესიაც იავარყო, მაგრამ ნუთუ, არ გახსოვთ: ჩვენი უთაურობითაც მივეცით ამის საბაბი, განა იმათი სიავის ბრალია ეს ამბავი — ჩვენი უთაურობისა, ჩვენი ერთმანეთში ქიშპისა. ვერ იქნა და ვერ დავალაგეთ ქვეყანა, მეფე გიორგის სიკვდილისთანავე ძმამ ძმას ჰკრა მუშტი, არ დაინდო, მოვიდნენ რუსნი და წესრიგი ქმნეს, კანონი მოიტანეს, რომ ხალხს კი არ ებრძოლა, დღე-ღამე ხმალი კი არ ექნია, ეცხოვრა, კალო გაელეწა და ყურძენი დაეწურა. თქვენ მეფე არ მოგწონთ, სად ყოფილა, როდის ყოფილა, რომ მეფეებს სხვა ერი დაენდოთ. რუსნი თავიანთისას თელავენ, სულსა ხდიან და ტახტის საძირკველში დულაბად სდებენ, რომ ძლიერი იყოს ბურჯი ტახტისა. ჩვენ რაღა თაფლს წავგვიცხებდა.

**სოლომონი.** მაშ, აღარ ყოფილა ხსნა, აღარ ყოფილა საშველი — ნაბიჯს გადავდგამთ და ისლამი წავგვჭამს თავსა. უძრავად ვიქნებით და ორთავიანი არწივი ამოგვკორტნის გუ-ღვიძლსა, ვინ დავგანათლა ასეთი ბედი, გენერალო! რა გზას დავადგეთ, რა ვიღონოთ?

**ჯამბაკური.** თვითონ ვივარგოთ, ერთმანეთს არ ვუღალატოთ, ხალხში ცოდნა ვამრავლოთ, ზნითა და გონით გავძლიერდეთ, მეფის ერთი ჯვარისათვის ათი ქართველი არ გავწიროთ, ერთი ნაჩაღნიკობისათვის ეშმაკს სული არ მივყიდოთ, სკამის ხელში ჩაგდებისათვის იმ სკამის ფეხები მოძმეს არ ვურტყათ თავში, ერთი გემრიელი ქეიფისათვის მამულები არ დავანიავოთ, მოძმის დღესასწაული ჩვენს უბედურებად არ მივიღოთ. ცოტაც გავუძლოთ, ცოტაც მოვითმინოთ და რაღაც მოხდება, ქვეყნიერება უკეთესი გახდება...

**სოლომონი.** მეფე უფრო ძლიერი გახდება, ქუსლებზე რკინას დაირტყამს, რომ ერთიანად სთელოს ხალხები.

**პაუშენკო.** ამ ოთხიოდ წლის წინათ, მოსკოვში, სპასკის მონასტრის კედელზე ასეთი რამ ამოვიკითხე: „მაღე დადგება დღე დალუპულთა შურისძიებისა, აღსდგებიან მინინის შთამომავალნი და შურს იძიებენ ჩამოხრჩობილთა სახელით, ძრწოდე, ბოროტისმქნელო!“ იცით, ვინ აწერდა ხელს ნიკოლოზისადმი გამოტანილ ამ განაჩენს? რილეევ-მეორე! ისევ იბადებიან რუსეთში რილეევები, ბესტუჟეევი, კახოვსკები, პესტელეები, „ღმერთმა ქნას და ასრულდეს!“ მიუწერია იქვე ვილაცას. კიდევ იყო ერთი მინაწერი: „მე პირველი ავიღებ დანას!“

**ელიზბარი.** ჩვენც დეკაბრისტების კვალზე დავალთ, დეკემბერში ვასრულებთ ჩვენს ვალსა და პეტრე-პავლეს ციხის წუმპიან ეზოში ჩამოხრჩობილთა სახელითაც ვიძიებთ შურსა. ამ ზრახვას ვერავინ გადაგვათქმევინებს.

**ფალავანდიშვილი.** თუ ეგრეა, მაშ, ბოლომდე მიჰყეთ დეკაბრისტების კვალსა. ვინც ცოცხალი დარჩა, ციმბირში სძვრებათ სული-- ნელ-ნელა, სათითაოდ სძვრებათ, ყინვით ითოშებიან. გუშინ პეტერბურგის დარბაზებში ნებივრად მორონინენი, დღეს თავიანთი აცახცახებული, გათოშილი ხელით პატარ-პატარა რუსულ ხატას აშენებენ, რომ ოჯახს ჭერი ჰქონდეს, სუნთქვაშეუძლო მაღაროში ქვას ამტვრევენ, რკინას ებრძვიან, მიწას ბარავენ და მწარე ხახვი მოჰყავთ ამ რომანტიკოსებს, რომ შიმშილით სული არ ამოხდეთ.

**სოლომონი.** მით უარესი ხელმწიფისათვის, რომ ქვეყნის უკეთესი შვილები მაგ დღეში ჰყავს.

**ფალავანდიშვილი.** ყველაფერს თავისი კანონი აქვს იმპერიაში — თუ ქვეყნის უკეთესი შვილობა გწადია, მაღაროც უნდა ანგრიო, მიწაც უნდა მორწყა შენი ოფლიანი სისხლითა, გათოშილი თითებით ხატაც უნდა ააგო ციმბირის უკაცრიელ სოფლებში, ციმბირელ დელაკაცებზეც უნდა იქორწინო და არყით გახეთქილ ნაღზირატელთა გინებაც უნდა აიტანო. თუ არადა, გეცვას უზადო მუნდირი, იარე დარბაზობებზე, ეარშიყე ლამაზმანებს, სვი შამპანსკი, ღვთის წყალობად ჩასთვალე თუ მომდიმარ მეფეს, ან მეფისნაცვალს შეავლო თვალი, ილხინე, დრო ატარე! ხომ ხედავ რა გემრიელია ცხოვრება, ადრე ერის შვილობას სიამეც ახლდა თან, დღეს კი სულის გვემის გარდა, აღარაფერი მოაქვს, ყველას კისერი მოტყდა, თქვენ კი... თქვენ ახლა იწყებთ.

**ელიზბარი.** ბრძოლის დაწყება იმათ გვასწავლეს, დასასრულის მაგალითს ჩვენ მივცემთ. ხოლო შემდეგ... ხოლო შემდეგ მთავრობა ისეთი გონიერი ხალხისგან არის შედგენილი, რომ...

**ჯამბაკური.** მთავრობაცა გყავთ?

**ელიზბარი.** მთავრობა ახალი საქართველოსი, სამხედრო მინისტრი იქნება მგოსანი და გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე, იუსტიციის მინისტრი ივანე მუხრან-ბატონი, შინაგან საქმეთა მინისტრი — თავადი ჭილაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი — გენერალი ბუბუთაშვილი, ფინანსთა მინისტრი — ნიკოლოზ ფალავანდიშვილი.

## ფალავანდიშვილმა გაოცებით მოხედა.

ღიას, თქვენ, თუ ჩვენს საქმეს ირწმუნებთ.

**ფალავანდიშვილი.** მე მხოლოდ ერის საქმე მწამს, სხვა არაფერი.

**ელიზბარი.** მაგ ერის საქმეს ქვეყნის პატრონი და მეფე ალექსანდრე ბატონიშვილი გაუძღვება.

**ჯამბაკური.** ელიზბარ, მომეყურა, თუ...

**ფალავანდიშვილი.** ეგ ვერ გავიგე...

**ელიზბარი.** მეფე საქართველოსი იქნება ალექსანდრე ბატონიშვილი.

**ფალავანდიშვილი.** ეგეც ცუდად გიფიქრიათ, თავადო! ნუთუ, ნიკოლოზს იმიტომ ებრძვი, რომ ისევ მეფე დაისვათ და ისიც ალექსანდრე ბატონიშვილი!

**ელიზბარი.** ბატონიშვილს რას უწუნებთ?

**ჯამბაკური.** ყველაფერს. ქართველთ არმცოდნეა ალექსანდრე, რუსთაგან გაქცეულმა თავმესაფარი ქართველთა დაუძინებელ მტრებთან — სპარსელებთან ჰპოვა. მეფედ გინდათ კაცი, რომელმაც საკუთარ მამას, ერეკლე მეფეს ათქმევინა „ღმერთო, ნუ აღირსებ გამარჯვებას ჩემს ძეს ალექსანდრეს ნურც ბრძოლაში და ნურც მშვიდობიან ცხოვრებაში მამის ურჩობის გამო“. დაგავიწყდათ? მამის დაწყევლილი შვილი გინდათ მეფედ, ქართველნო? არა, ეგ კაცი ვერ იქნება ქვეყნის მამა და პატრონი, მას არ ძალუძს იყოს მოამაგე.

**პაუშენკო.** იქნებ, მეც ჩავერიო თქვენს კამათში?

**ფალავანდიშვილი** (პაუშენკოს მოხედა. მისი აქ ყოფნა სულაც დავიწყებოდა, უცებ აღეგზნო). საქართველოში გადმოსახლებულმა დეკაბრისტებმა და მათმა ქომა-გებმაც აურიეს ჭკუა-გონება ჩვენს ჭაბუკებსა! მეფის კარს იყვნენ მიმდგარნი, იქ ვერაფერს გახდნენ და ახლა კავკასიის ქედს გადმოლმიდან უნდათ ურქინონ ხელმწიფე-იმპერატორსა, ის კი არ იციან, რომ კავკასიონის ქედებს მიემსხვრევა მათი რქები და მერე ისევ ჩვენ უნდა ვღვართ ოფლი აშფოთებული ზღვის დასაცხრომად.

**ჯამბაკური.** ბრძანეთ, ყმაწვილო!

**პაუშენკო.** დღეს რუსეთიცა და საქართველოც ერთ ბედქვეშ არიან. ამიტომ

თვითმპყრობელობას ყოველი მხრიდან უნდა ებრძოლო, რათა ქვეყანას ხალხი მართავდეს და არა მეფე. დოდაევი დეკაბრისტების აზრს მისდევს და თქვენც უნდა დაუჭიროთ მხარი.

**ფალავანდიშვილი.** ეს კიდევ ახალი ამბავი!

**ჯამბაკური.** როგორ, დოდაშვილს რესპუბლიკური საქართველო ნებავს?

**სოლომონი.** ღიას, მე იმიტომ არ ვებრძვი თვითმპყრობელობას, რომ კვლავ მეფე დავისვათ თავზე.

**ფალავანდიშვილი** (რალაცას იგონებს). დამაცათ, დამაცათ... მაშ, რესპუბლიკური საქართველო? მაშ, ხალხის მმართველობა? დემოკრატია? აი, რისთვის გჭირდებათ ეგ ჟურნალი, ახლალა ჩავხვდი აზრს იმ ფანტასტიური მოთხრობისა. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! (ჯამბაკურს.) სოლომონ დოდაშვილი თავისი ჟურნალის პირველსავე ნომერში, პირველსავე გვერდიდან იწყებს ბეჭდვას მოთხრობისა „ჟინვერა“.

**ჯამბაკური.** კი, მაგრამ პირველსავე ნომერში, პირველსავე გვერდზე ფანტასტიკა რა მოსატანია, სტიხი, პოვესტი განა არ იყო?

**ფალავანდიშვილი.** საქმეც ეგ არის! და იცით რა ხდება მაგ „ჟინვერაში?“ წარჩინებულებმა დალუპვის კარამდე მიიყვანეს სახელმწიფო, ვერ მოუარეს სამშობლოს თავისას, მაგრამ ხალხი ამხედრდა მტრის წინააღმდეგ! ხალხი, მასა და ქვეყნის

საჭესაც დაეუფლა, არა დაძაბუნებული, დაჩიავებული კლასი წარჩინებულთა, ესე იგი ჩვენ, გენერალო, არამედ ხალხი, მასა. როგორ მოგწონთ?

**სოლომონი.** ძალიან მომწონს, მომავლის გზა სწორედ ეს არის.

**ჯამბაკური.** მაშ, რესპუბლიკური საქართველო?

**სოლომონი.** თავისუფალი, რესპუბლიკური საქართველო. ჩვენ ისეთი პარლამენტი გვჭირდება, ხალხზე რომ იზრუნებს, ოფლით მოიპოვებს ხალხის ნდობას. ამ სისხლისღვრას ის გამართლება ექნება, რომ ქვეყანა წინ წაიწევს, თორემ თუ კვლავ მეფე დავისვით...

**ელიზბარი.** მასეთი ქვეყანა რომ შექმნა, ერთ სამ მეფეს მაინც უნდა წარკვეთო თავი ევროპელებივითა.

**სოლომონი.** დღეს მეფის გულისთვის ბუნტს აღარავინ ახდენს.

**პაუშენკო.** დღეს მეფეს ამხობენ, რომ ხალხს თავისუფლება და ქვეყანას წინსვლის გზა მისცენ.

**ფალავანდიშვილი.** ხომ გეუბნებოდით, გენერალო, ისევ დეკაბრისტები, ისევ დეკაბრისტების კვალზე სიარული, იმათ წარყენეს საქართველო!

**ჯამბაკური.** ჩვენ უფროსის გარეშე სუფრაზეც ვერ გაგვიძლია და... ერთი საუკუნე მაინც არის საჭირო, რომ საქართველო რესპუბლიკური ქვეყანა გახდეს. ჯერ ადრეა მაგაზე ფიქრი.

**სოლომონი.** ჯამბაზია ეგ თქვენი ნიკოლოზი, — ჯერ თვითონ გაუგზავნა 200 თუმანი ტუსადი რილევეის ცოლსა, მერე იმპერატრიცას გააგზავნინა და ქვეყანა ააყაყანა, შეხეთ, რა გულმოწყალე ხელმწიფე გვყავსო. თან იმავე ხელით, რომლითაც ფულს აგზავნიდა, სიკვდილის განაჩენს უწერდა რილევეს.

**ელიზბარი.** ჩვენ რუსთა მეფის ავკაცობას ვებრძვით, თორემ რუსი ხალხთან რა ხელი გვაქვს. ვიდრე ისინი მეფით ცხოვრობენ, ჩვენც მეფით უნდა გვედგას სული. ჩვენი მეფე გვეყოლება, ქართველი მეფე.

**პაუშენკო.** ეგ მეფე რუსი ხალხის ძვლებზე დგას და ტკივილია ჩვენი. თქვენ კი ახალს რომ იწყებთ...

**ხანდილა (შემოდის).** ბატონო...

**ფალავანდიშვილი.** რა მოხდა?

**ხანდილა.** ოსმალეთის დესპანი გეახლათ, სასწრაფოდ უნდა აქ შემოსვლა.

**ფალავანდიშვილი.** არა გვცალია-თქო.

**ხანდილა.** უშურველი საქმე მაქვსო.

**ფალავანდიშვილი.** სტუმრები მყავს (ხანდილა გადის. ფალავანდიშვილი პაუშენკოს მოუტრიალდება.) ქართველ თავადებს ტვინი გახურებიან და ასეთ გზას დასდგომიან. ავია თუ კარგი, მათი გულისტკივილი გასაგებია. ზავილეციკისაც მესმის, არ მომწონს მისი საქციელი, მაგრამ ვხვდები, რატომაც ებრძვის ხელმწიფე იმპერატორს, მაგრამ თქვენ, რუსს, რუსთა სიკეთისათვის თავგადადებულს, რატომ უნდა გინდოდეთ დაკნინება იმპერატორისა.

**პაუშენკო.** ქვეყნის განვითარებისათვის ორი გზა არსებობს — ან მთავრობა უნდა გყავდეს ისეთი, რომ დღევანდელი გუშინდელზე უკეთესი გახადოს, ან არადა, ყოველდღიური ბრძოლით უნდა აიძულო უკეთესი ცხოვრება მისცეს ხალხს.

**ჯამბაკური (თითქმის სიცილით).** ერიჰა! თქვენ აქ ფრანციელთა ამბოხი მოგდომებიან, რაღა საქართველოში იწყებთ მაგ ამბებსა.

**პაუშენკო (ჯამბაკურს ყურადღება არ მიაქცია).** ამას გარდა... ამას გარდა.

**ფალავანდიშვილი.** მაინც?

**პაუშენკო.** დაწვება რუსის კაცი არარუს ქალთან და ქვეყნად გაჩნდება კიდევ ერთი არარუსი. დაწვება ჩვენი ქალი არარუს კაცთან და კიდევ ერთხელ აირევა რუსული სისხლი. რუსული სული ქრება, თავადო, იკარგება და ესეც მაძარდებს.

**ფალავანდიშვილი** (ჯამბაკურს მცირე ღუმლის შემდეგ). ჩვენ ჩვენს ჭაბუკებს რუსეთს იმისთვის ვგზავნით, რომ მეფისა და კანონის ერთგულება შეისწავლონ, ეგენი კი... ანტიქრისტიანობას სწავლობენ იქ... ესენი ორივენი რუსეთს იყვანენ.

პეტერბურგს სწავლობდნენ და აი, ნაყოფიც მაგ სწავლა-განათლებისა.

**პაუშენკო.** ეგ იმიტომ, რომ დღეს რუსი ხალხი სულ სხვა ფიქრით ცხოვრობს, ვიდრე თქვენ გგონიათ.

**ხანდილა** (კვლავ გამოჩნდება კარებში). ბატონო...

**ფალავანდიშვილი** (თითქმის ყვირილით). არა მცალია-თქო, გუბერნატორი შინ არ არის-თქო. (ხანდილა უხმოდ გადის.) კი, მაგრამ განა ერთიანი და ძლიერი რუსეთი უფრო იოლად არ დააშუშებს ხალხის ტკივილებს?

**პაუშენკო.** ჩვენი ერთიანობა მაშინ იქნება ძლიერების გამომხატველი, როცა ძმობა გაგკაერთიანებს და არა შიში. ამიტომ საჭიროა ყოველდღიურად უტიონ მეფეს, ყოველდღიურად უნდა მოახლოვდეს ჭეშმარიტი ძმობა. ეს აჯანყება რუსეთს იმაში გამოადგება, რომ რამდენიმე აგურს გამოაცლის ხელმწიფის საძირკველს.

**ფალავანდიშვილი.** და მაგ აგურებს ათასობით ქართველი შეეწიროს?

**ჯამბაკური.** ისა, აი, ისა... უკაცრავად, სულ მავიწყდება.

**პაუშენკო.** პაუშენკო. გენერალო, პაუშენკო.

**ჯამბაკური.** მე ისე გავიგე, პაუშენკო, რომ თქვენ სულ სხვა მხარეს გვეძახით, სხვა რომ გწადიათ...

**პაუშენკო** (მცირე პაუზის შემდეგ). შესაძლოა, დღეს ასე მოჩანდეს, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ ერთ სუფრაზე მოვიყრიტ თავს, რადგან დღევანდელი ამბოხი დაუძმორჩილებლობას აძლევს გზას. ეგ დაუძმორჩილებლობა კი ისევ თვითმპყრობელობას უპირისპირდება.

**ფალავანდიშვილი** (ფიქრიანად). ყელი გამიშრო ამდენმა ლაპარაკმა, ღვინო მომწყურდა. (სუფრასთან მიდის, ჭიქაში ღვინოს ჩაასხამს, არ სვამს, დგას გარინდებული და ჩაფიქრებული.) ათას რვაას სამ წელს თხუთმეტი ათას ხუთასი კაცი ცხოვრობდა ტფილისში, თხუთმეტი ათას ხუთასი და იცით თქვენ, რამდენი იყო ამათგან ქართველი? სამი ათასიც კი არა... სამი ათასი ქართველიც კი არ ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქში, იცით, დღეს რამდენია? ამ ოცდაათ წელიწადში სამჯერ გაიზარდა ქართველობა ტფილისში, სამჯერ... მანამდე კი წლი-თიწლობით კლებულობდა. კლებულობდა და ლამის სულ გადაშენდა. კი, ბატონო, არ დაგვინდეს მეფეებმა, არც ალექსანდრემ, არც პავლემ და არც ნიკოლოზმა, მაგრამ (ღვინო დალია.) რუსთა საქართველოში მოსვლამ იმდენი სიკეთე მოუტანა ჩემს ხალხს, იმდენი სიმშვიდე და შრომის სუფევა, რომ მე არ მოგცემთ მაგ ფორიაქის უფლებას... არ მოგცემთ, რადგან ეგრე მწამს და ეგრე მჯერა, მაგრამ ახლა, ამ წუთში ეგ არ არის მთავარი. ორი დღე მითქვამს, მხოლოდ ორი დღე. თუ ამდამ არა, თუ ხვალ არა, ზეგ დილას მაინც ეს ამბავი მთავარმართებლის ყურამდე მივა, ყველაფერს გაიგებს და ისე გაგბოჭავენ, ვერც ერთი ვერ დაიხსნით თავს სახრჩობელიდან, ვერც ერთი!

**ელიზბარი.** შენ ჩვენი დარდი ნუ გექნება, თავად მოვუვლით საკუთარ თავსა.

**ფალავანდიშვილი.** თქვენ კი არა, საქართველოს ვუფრთხილდები; ხალხს ვუფრთხილდები. თუ ეგ აჯანყება დაიწყოს, თქვენ პირველი ტყვიის გავარდნისთანავე ყველაფრისგან ხელებს დაიბანთ, ტყე-ღრეში გავარდებით, სპარსეთს გადაიხვეწებით,

საღდათებს კი მოტყუებული და გაცურებული ხალხი შერჩება ხელთ. იმ ხალხს დაეცემა მუხი.

**ჯამბაკური.** რა პასუხს აძლევთ ხვალ იმ ხალხსა— მოტყუებულს და შეგინებულს.

**ელიზბარი.** გუბერნატორს სურს რაღაც გვირჩიოს.

**სოლომონი.** გუბერნატორს უნდა, უარი ვთქვათ აჯანყებაზე!

**პაუშენკო.** გუბერნატორი სიმშვიდეს შეეჩვია!

**ელიზბარი.** გაგვიზიარეთ თქვენი აზრი, გენერალო!

**ფალავანდიშვილი** (ერთხანს დუმს. კარგად შეათვალიერა შეთქმულთ მეთაურნი, სათქმელს უფიქრდება). მე უკვე გითხარით, რომ ყველანი დატუსაღებულნი ხართ, ახლავე შემიძლია დილეგებში წაგასხათ, მაგრამ...

**ელიზბარი.** მაგრამ?

**ფალავანდიშვილი** (კვლავ პაუზა). მაგრამ მე ამას არ ვიზამ, რადგან მინდა ყოველმა თქვენგანმა კარგად მოიფიქროს ქვეყნისა და საკუთარი თავის ბედი და (კიდევ ერთხელ ჩაათვალიერა შეთქმულნი.) თქვენ თვითონ უნდა დაწეროთ წერილი მონანიებისა.

**სოლომონი.** რა?

**პაუშენკო.** რას ამბობთ, გენერალო!

**ელიზბარი.** ვერ გავიგე, რა წერილზე გვეუბნებით!

**ფალავანდიშვილი.** მე მინდა თვითონვე დაწეროთ, შეთქმულება გვქონდა და ვინანიებთ, დღეიდან კი მტრობაზე ხელს ვიღებთ-თქო.

**ელიზბარი** (ხმამაღალი, თავშეუკავებელი ხარხარი). ერთი შეხედეთ, რა ჭკუას გვარიგებს გენერალი, ჩვენ გვინდოდა შეთქმულთა შორის ყოფილიყო და ახლა გვეუბნება შეთქმულებაზეც უარი თქვით და ხელმწიფე იმპერატორს ციმბირს გადასახლებაც მოსთხოვეთო.

**სოლომონი.** გამოდის, რომ ოცნებისათვის, ფიქრისათვის დატუსაღება და მოწყალება უნდა ვთხოვოთ იმპერატორსა.

**ელიზბარი.** ნუთუ, ეს არის შენი ბრძნული რჩევა, გენერალო?

**ფალავანდიშვილი.** თქვენ არც კი იცით, რომ მაგ აჯანყებით მთელი ნახევარი საუკუნით უკან დაჰხვეთ საქართველოს. მე კი მინდა ქართული თეატრი გამოვსტყუო მეფისნაცვალს, რომ მხოლოდ ჭამა-სმას არ იყვნენ გადაყოლილნი ჩემი მოძმენი — თეატრში იარონ და ჭკუა გაავარჯიშონ, თორემ სულაც დაგვაობიანა ამ ღვინომ და პურის ჭამამ, ორ-სამ წელიწადში დოდაევის ჟურნალი აღარაფერს უზამს საქართველოს. ახალი, დიდი ჟურნალიც უნდა გამოვსტყუო მოთმინებითა და დაფიქრებითა.

**სოლომონი.** ჩვენც იმიტომ ვწირავთ თავსა, რომ საკუთარ მიწაზე სხვისთვის სამუდარო არა გვქონდეს რა!

**ფალავანდიშვილი.** სიკეთე და ჭკუა უნდა დააყოლოთ საქმეს! ვიცი, ყველანი დაიღუპებით, ამიტომაც დაწერეთ ძმებო, დაწერეთ ეგეთი და ეგეთი ამბავი ხდება-თქო. თუ თქვენ არ დაწერთ, მე უნდა დავწერო, ჩემი დაწერილი დაბეზდება იქნება, თქვენი დაწერილი კი — მონანიება. მაგ მონანიებით სასჯელიც შეგიძსუ-ბუქდებათ, ისე სერიოზულად აღარ შეხედავს მაგ საქმეს არც ხელმწიფე და არც მთავარმართებელი.

**ელიზბარი.** მხოლოდ ლაჩრები ივლიან მაგ გზით, გუბერნატორო, მხოლოდ ლაჩრები.

**სოლომონი.** შენ ახლა ყოველი ჩვენგანის თავზე სახრჩობელა ჩამოჰკიდე!

**ფალავანდიშვილი.** არა, თუ დამიჯერებთ, არ ჩამოგახრჩობენ, მერე კი ყველაფერს ეშველება. მოწყალეა მეფის გული. კიდევ ერთ ხერხს გასწავლით, რომ საქმე გაიიოლოთ. ხვალვე დაიწყება დაკითხვები, ძიება და თქვენ არ უნდა გაჯიუტდეთ, არაფერი არ უნდა დამალოთ, ყველაფერი უნდა თქვათ!

**სოლომონი** (ელიზბარს). ნუთუ, ეს არის დიდი ჭკუა გუბერნატორისა?

**ფალავანდიშვილი.** ეს არის გზა. ამით უნდა შექმნათ შთაბეჭდილება თქვენი უსუსურობისა, უმწეობისა, შეთქმულების მოუძნალებლობისა, არარაობისა და დარტყმის ძალაც ნაკლები იქნება. მჩატე ხალხად ჩაგთვლიან და სასჯელიც მცირე მოგეზღვებათ, იოლად გამოხვალთ, თორემ თუ ეს საქმე ასე მტკიცედ წავიდა... ყველანი დაილუპებით, ყველა შეეწირებით მაგ უჭკუობას, ტვინგახურებულობას.

**ელიზბარი.** რა გონიერი და ეშმაკი კაცი ხარ, გენერალო, რამდენ სიკეთეს მოუტანდი ჩვენს საქმესა.

**ფალავანდიშვილი** (მცირე პაუზის შემდეგ). ცოტა ხნის მერე, ექვს თვეში, ერთ წელიწადში მონანიების რაპორტს მისწეროთ ხელმწიფეს, ვცდებოდით, შენზე დიდი და საყვარელი ვინ გაჩენილა მზის ქვეშეთში-თქო, და ყველაფერი კარგად იქნება. მეფენი შიშით ადევნებენ თვალს განდგომილთ და ზოგჯერ შემორიგებულ მტერს უფრო ეალერსებიან, ვიდრე შეჩვეულ მოყვარეს.

**სოლომონი.** ამით ხომ იმას გვეუბნება გენერალი, რომ მუდამ მონებად დავრჩეთ ხელმწიფისა, ერთი ნაბიჯიც კი არ წავდგათ წინ!

**ფალავანდიშვილი** (ღვინოს სვამს). ეს არის ერთადერთი გზა გადარჩენისა, საკუთარი თავის და ერის გადარჩენისა. არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ სახარება: „უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან“. თუ საქართველო ამ უბედურებას გადარჩება, თქვენი ტკივილი არაფრად მიიღოს, ამიტომ უნდა იჩქაროთ მონანიების წერილის დაწერა, იჩქარეთ, თორემ მეფისნაცვალთან ნახევარი ნაბიჯითაც რომ მიგასწროთ ვინმემ, დღეს მონანიეთ, ხვალ ხელმწიფის მტრები დაგერქმევით და სასტიკად დაგსჯიან, დღეს საქართველოს სიმშვიდე სჭირდება და არა შფოთი, სიმშვიდე და არა შფოთი!

**სოლომონი.** დღეს საქართველოს მსხვერპლი სჭირდება! დაე, ჩვენ ვიყოთ მსხვერპლი.

**ფალავანდიშვილი.** პასუხს ეგრე აჩქარებით და იოლად ნუ მომცემთ. დილაძე იფიქრეთ, დილაძე ასწონ-დასწონეთ(ზარს დარეკავს. შემოდის ხანდილა).რა თავმომაბეზრებელი კაცია ეს აჰმედ ბეი! შემოვიდეს, აქ ყველაფერი გარკვეულია (ოფიცერი გადის. თავისთვის.) საერთო მიზანი... ორი ერის საერთო მიზანი (ჯამბაკურს.) ხედავთ, გენერალო, რა აზრები ჰქრის რუსეთის იმპერიაში? გესმით, რა ხდება? (პაუზენკოს.) თქვენ გინდათ ჩვენი ფიქრი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმართოთ. ჩვენ არ გავიზიარებთ თქვენს მოსაზრებას, რადგან საქართველოს ახლა მშვიდობიანი შენება სჭირდება და არა სისხლისღვრა. სწავლა სჭირდება და არა ბუნტი, ჩვენ იმდენი ვიბრძოლეთ, იმდენი რომ...

**დესპანი** (შემოდის მხნედ, მიმზიდველი კაცია.). სალამ ალეიქუმ, ბატონებო!

**ფალავანდიშვილი.** მობრძანდით, აჰმედ ბეი!

**ჯამბაკური** (თითქმის თავისთვის). აჰა, ჩვენი ბედისწერა, სალამ ალეიქუმიც აქ არის!

**დესპანი.** მომიტევეთ, რომ ასე თავხედურად შემოგეჭვებით, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

**ფალავანდიშვილი** (ცივად). გისმენთ, აჰმედ ბეი.

**დესპანი.** მოვედი, რათა დაუყოვნებელი, სასწრაფო პროტესტი განვუცხადო თავად ერისთავს. საქართველოს გუბერნატორს კარგად მოეხსენება, რომ გურჯისტანში...

**სოლომონი.** საქართველოში, მოწყალეო ხელმწიფევ, საქართველოში.

**დესპანი** (სოლომონს უკმაყოფილოდ გადმოხედავს). ჩამოსულია ოსმალო ვაჭართა ჯგუფი, მესამე დღეა გორის ბაზარში იმყოფებიან, ახლახანს მომახსენეს, რომ გუმინ საერისთავოს გლეხობა თავს დაესხა ვაჭრებს, სცემეს და ქონებაც წაართვეს.

**ელიზბარი.** შეუძლებელია, ჩემი ხალხი მაგას არ იზამდა!

**ჯამბაკური** (აშკარაა, რომ ეს ამბავი ახარებს). შერჩათ ხელები, იმათი ჭირიმე, იმათი! (დესპანს.) მაშ, სცემესო, ამბობთ? ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ხალხია ეს ქართველები, რა ხალხია!

**დესპანი.** დიახ, გენერალო, ათ ვაჭარს სცემეს, ტანთ გახადეს...

**ჯამბაკური** (ფარული აღტაცებით). უყურე, უყურე, ეს რა უქნიათ!

**ფალავანდიშვილი** (ელიზბარს). სასწრაფოდ უნდა მიხედოთ საქმეს, თავადო!

**დესპანი.** ახლაც დატყვევებული ჰყავთ. წაართვეს ოქრო, ნაყიდი საქონელი.

**ფალავანდიშვილი.** კი, მაგრამ მიზეზი რა არისო მაგ თავდასხმისა.

**ჯამბაკური** (თავისთვის). რა სასაცილოა — საქართველოში ოსმალოზე გაბრაზების მიზეზს დაეძებს.

**დესპანი.** არავითარი მიზეზი არ ჰქონიათ. ვიღაცას უყვირია, ხალხნო, შეხედეთ, რამდენი ოსმალო მოსულა სოფელშიო და...

**ელიზბარი.** აჰმედ ბეი, გარწმუნებთ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

**დესპანი.** მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რაც საქმეს აბრკოლებს.

**ელიზბარი.** ბრძანეთ.

**დესპანმა მიმოიხედა, რითაც დამსწრეთ აგრძნობინა,  
ამდენ ხალხში ვერ გეტყვიო.**

**ფალავანდიშვილი.** გთხოვთ, იმ ოთახში მიბრძნდეთ და ახლავე გადაწყვიტოთ ყველაფერი, სასწრაფოდ.

**დესპანი.** მაღლობელი ვარ გუბერნატორო.

**ელიზბარი** (გადის დესპანთან ერთად). ახლავე გეახლებით.

**დარბაზში შუქი ჩაქრა.**

**ავანსცენა. დესპანი და ელიზბარი.**

**დესპანი** (სულ სხვა, საიდუმლოს განდობის ინტონაციით). მე აქ იმისთვის მოვედი, რომ გადაგარჩინოთ თქვენც და თქვენი საქმეც. ვიცი, სწორედ თქვენა ხართ ერთ-ერთი მეთაური შეთქმულებისა, ასე რატომ გაოცდით. ყველაზე კარგი დესპანი ის არის, ვინც თავისი სადესპანო ქვეყნის ამბებს, ხელმწიფეზე აღრე შეიტყობს.

**ელიზბარი.** გისმენთ, აჰმედ ბეი!

**დესპანი.** დარეკა ზარმა, აი, ახლა, ამ წუთში ჩვენ უნდა გავერთიანდეთ.

**ელიზბარი.** ვერ გავიგე, რას გულისხმობთ?

**დესპანი.** შეთქმულებას. (დუმილი. ელიზბარი ცივად შესცქერის დესპანს.) აგერ უკვე წელიწადზე მეტია, თვალს ვადევნებ თქვენს მოძრაობას, ყველაფერი კარგად გაქვთ მოფიქრებული, გონივრულია აჯანყების გეგმაც, მაგრამ ახლა თქვენ მეტად ცუდი დღე გადგათ. მე კკისრულობ ჩავერთო საქმეში და...

**ელიზბარი.** რაღაც არ მაგონდება, რომ ოსმალეთს ძალიან შესტკიოდა გული საქართველოზე.

**დესპანი** (მცირე პაუზის შემდეგ). არც მე მაგონდება, რომ ოსმალეთს მოესპოს

საქართველოს სამეფო, ქვეყანას მუდამ ქართველი მეფე მართავდა და არა გათურქებული გერმანელი. დღედაღამ იმას გაიძახოდით, ერთმორწმუნე რუსეთს შევეყარეთო, მაგრამ არც თურქეთს, არც ირანს არ გაუუქმებია თქვენი ეკლესია — მუდამ თქვენი კათალიკოსი იჯდა სიონში, ახლა კი...



**ელიზბარი.** საკუთარი ცოდვები დაივიწყეთ და სხვისას ითვლით?

**დესპანი.** მე ვხედავ, რომ თქვენ არ გსურთ ჩემი დახმარება. (ღუმილი.) სამწუხაროა! (ხანგრძლივი პაუზა.) მე კი იმედი მქონდა, ჩრდილოეთის დათვთან ბრძოლა გაგვაერთიანებდა.

**ელიზბარი.** მაპატიეთ, რომ...

**დესპანი.** ამ შეცდომას ისტორია არ გაპატიებთ.

**ელიზბარი.** ისტორიას მე გავცემ პასუხს. კარგად ბრძანდებოდეთ!

**დესპანი.** მოვითხოვ დატყვევებულ ვაჭრებს ზარალი აუნაზღაურდეთ.

**ელიზბარი.** თუ თურქეთი საქართველოს საუკუნეების ზარალს აუნაზღაურებს...

**დესპანი** (გაბრაზებული გამოხედა ელიზბარს). მაქვს პატივი! შამწუნაროდ, თქვენ უკვე პატიმარი ხართ და დიდხანს ველარ შევხვდებით ერთმანეთს, რომ საგულდაგულოდ გაგვერჩია თქვენი შეცდომა. (მიდის.)

**ელიზბარი.** ერთი წუთით!(დესპანი მოტრიალდება.)საიდან იცით შეთქმულება...

**დესპანი.** უკვე გითხარით — კარგი დესპანი ის არის, ვინც ხელმწიფეზე ადრე გაიგებს, თუ რა ხდება მის სადესპანოში, მე სხვაც ბევრი ვიცი.

**ელიზბარი.** გთხოვთ დაბრძანდეთ. (ავანსცენის ორ მხარე ორი სავარძელი დგას. ერთიმეორის პირისპირ დასხდნენ. თუმცა, აჰმედ ბეი შეყოყმანდება.) მაშ, თქვენ გინდათ დაადასტუროთ საქართველოსადმი ერთგულება.

**დესპანი.** დღეს საქართველოში თურქეთის საკითხიც წყდება — თუ რუსეთი აქედან წავა, ეს ჩვენი გამარჯვებაც იქნება.

**ელიზბარი.** რა წვლილს დასდებთ ამ საქმეს?

**დესპანი.** შეგვიძლია ბევრი გონივრული რჩევა მოგცეთ.

**ელიზბარი.** საქართველოს ჯარი და თოფი უჭირს.

**დესპანი.** დავიწყით იმით, რომ თქვენ ახლა ყველანი პატიმარი ხართ. ესე იგი, საქმე წაგებულა.

**ელიზბარი.** დაუშვით, ასეა.

**დესპანი.** ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა თავიდან მოვიშოროთ ფალავანდიშვილი, დაუნდობელი კაცია.

**ელიზბარი.** როგორ, რანაირად?

**დესპანი.** სახლს მცირე რაზმი იცავს. ოციოდ კაცი იქნება.

**ელიზბარი** (დაჭრილ მკლაფზე ხელს მოისვამს). მეტი იყო, მაგრამ...

**დესპანი.** ეგეც ვიცი. ნახევარ საათში ასი გააფთრებული ალაჰის მონა დაესხმის თავს ამ სახლს, მის მცველ რაზმს და ყველაფერს წალეკავენ. (ღუმილი.)

**ელიზბარი.** შემდეგ?

**დესპანი.** ამ დღეებში, როცა თქვენ აჯანყებას დაიწყებთ...

**ელიზბარი.** ეგეც იცით?

**დესპანი.** დიახ. შეგვიძლია მოგაშველოთ ზარბაზნებიცა და ქართულად გადაცმული იანიჩარებიც..

**ელიზბარი.** რამდენი?

**დესპანი.** ბევრი. გპირდებით, რომ მტკვრის პირას რუსის ჯარი აღარ იქნება.

**ელიზბარი.** მერე?

**დესპანი.** რა მერე?

**ელიზბარი.** მერე როგორ ვიქნებით ჩვენ — საქართველო და ოსმალეთი.

**დესპანი.** ისეთივე მეგობრები, როგორც ვიყავით, ისეთივე კეთილი მეზობლები...

**ელიზბარი.** ჩვენ მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ, აჰმედ ბეი!

**დესპანი.** საქართველო თავისუფალი იქნება. საქართველოც და თურქეთის საზღვრებიც.

**ელიზბარი.** ბათუმი?

**დესპანი.** ბათუმთან რა გესაქმებათ?

**ელიზბარი.** ბათუმიც ისეთივე საქართველოა, როგორც თბილისი და მცხეთა.

**დესპანი.** თქვენ სულ სხვა საკითხს სვამთ.

**ელიზბარი.** დღეს მხოლოდ ერთი საკითხი დგას – საქართველოს საკითხი.

**დესპანი.** მე ვხედავ, რომ თქვენ ისევ რუსეთს არჩევთ.(წამოდგება).თქვენი ვერაფერი გამიგია.

**ელიზბარი.** ეგ გაუგებრობა ჩემთვის სავსებით გასაგებია.

**დესპანი.** დადგება დრო და მოგვინატრებთ. (მიდის.)

**ელიზბარი.** ამ ცის ქვეშეთში ყველაფერი იცვლება, ყველაფერი ხდება, აჰმედ ბეი, მაგრამ ეგ დრო არასოდეს დადგება! კარგად ბრძანდებოდეთ! (ერთმანეთს ცივად დაუკრავენ თავს. აჰმედ ბეი გადის.) რუსს რუსი კაცის სიღუბნე და მეფის აშვებული ძალაუფლება უკოდავს გულს, პოლონელს თავისი ბედი აწუხებს, თურქს კიდეც თურქეთის დაღვინება და ღუნიანზე პარპაში უნდა. ყველას ჩემი მიწიდან სურს თავის ქვეყანას რამე არგოს, ჩემი ხალხის გვამს დაადგას ფენი და ისე მისწვდეს ბედნიერებას და მე რად უნდა დამეძრახოს, რომ ჩემი ხალხისთვის ვიბრძოდე?

#### **დაბნელება.**

**იგივე დარბაზი ორიოდ საათის შემდეგ. ახლა გაშლილ სუფრას იასე**

**ფალავანდიშვილი მიჯდომია და გასაოცარი სიხარბით ჭამს.**

**იასე** (მსახურს გასძახის). ეს ღვინო გამთბარა, ცივი შემომიტანეთ! (ხანდილამ თავს დაუკრავს და უხმოდ გადის.)

**შემოდის წარბშეკრული ნიკოლოზ ფალავანდიშვილი,სამხედრო მუნდირი გაუხდია.**

**დაღლილი მიუჯდება მაგიდას, დაჟინებით შესცქერის იასეს.**

**ნიკოლოზი.** სად დაგვეკარგე, ჩემმა კაცებმა ვერსად გიპოვეს. (იასე ძმას ახედავს, ჭამას განაგრძობს.) არ უნდა დაამთავრო? (კვლავ ღუმილი. იასე არაფრად მიიჩნევს ნიკოლოზის ნათქვამს.) დარბაზში რომ შემოდიხარ და სუფრას მიუჯდები, ეგ ჯუბა უნდა გაიხადო. (ხანდილა მაგიდაზე ხელადას დადგამს. იასე ღვინოს დაისხამს, და ნიკოლოზს თვალს თვალში გაუყრის.)

**იასე.** რატომ არ გიყვარვარ, ნიკოლოზ, მე შენა, რისთვის!

**ნიკოლოზი** (მცირე პაუზის შემდეგ). დღეს რად მეკითხები მაგას? (ღუმილი. იასე ჭამას განაგრძობს.) რა ჰქენით, რა გადაწყვიტეთ?

**იასე** (მადიანად ილუკება). ეგ არაფერი, ნიკოლოზ, ვინძლო დღეიდან ჩემი წისქვილიც წალმა დატრიალდეს და მაშინ აღარ დამელაპარაკები ასეთი სახითა. მაშინ იქით დამეკითხები ჭკუას!

**ნიკოლოზი.** რა წისქვილსა და ჭკუის სწავლებაზე ლაპარაკობ, რა გადაგიწყვეტია-მეთქი.

**იასე.** შემწვარი კომში არა გაქვთ? ვანო, შემწვარი კომში არა გაქვთ-მეთქი, არ გეყუირებათ?

**ვანო** (ნიკოლოზს გადახედავს). ახლავე, ბატონო, ახლავე! (გარბის.)

**იასე.** ეგრე! ხომ იცით, რომ ძლიერ მიყვარს შემწვარი კომში. (ნიკოლოზს.) ასე რად მიბღვერ, გუბერნატორო, ვინძლო, მეც გავიხარო, ვინძლო, ჩემთვისაც გაიმეტოს ღმერთმა რაიმე წყალობა.

ნიკოლოზი. რა გადაწყვიტეთ შენ და შენმა ძმებმა!

შემოდის ვანო, იასეს შემწვარ კომშს დაუდებს წინ.

იასე კომშს დასწვდება, გემრიელად ილუკება.

რა გადაწყვიტეთ-მეთქი, იასე, პასუხი გამეცით!

იასე. ის ჩემი ძმები აქ არა გყავდა?

ნიკოლოზი. გავუშვი, რომ გულდინჯად იფიქრონ და უკეთ გადაწყვიტონ ქვეყნისა და საკუთარი თავის ბედი. თუ თქვენსას მაინც არ დაიშლით, სად წამიხვალთ?

იასე (გაიცინებს). დაგვატუსალებ?

ნიკოლოზი. არც დავახანებ.

იასე. არც ძმას, არც მეგობარ-ნათესაებს არ დაინდობ?

ნიკოლოზი. ქვეყნის სიკეთისა და მომავლისათვის რამდენიმე ჯიუტი და გაუგონარი კაცის დატუსალებას არ დავერიდები.

იასე. ჰო, გამახსენდა, „უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცდუნებდეს შენ, ამოიღე იგი და განაგდე შენგანო“, ასე სთქვი, არა? მე რომ კაცმა მკითხოს, სწორად გიფიქრია, გუბერნატორო.

ნიკოლოზი (ლამის დამარცვლით). რა გადაწყვიტეთ-მეთქი. იასე, რა განაჩენი გამოუტანეთ სამშობლოსა და საკუთარ თავსა?

იასე (ჭამას განაგრძობს). ტფილისის გუბერნატორს შეუძლია მშვიდად იძინოს, ყველაფერი კარგად იქნება.

ნიკოლოზი (იასეს უზრუნველი ტონი და ჭამა აღიზიანებს). ეგ როგორ -- კარგად?

იასე. ისე, როგორც ტფილისის გუბერნატორს ეამება.

ნიკოლოზი. მაშ, უარი თქვით აჯანყებაზე? (დუმილი.) აჯანყებაზე უარი თქვით-მეთქი?

იასემ ერთი კომში შეჭამა, ახლა მეორეს გადასწვდება. მოთმინებადაკარგული ნიკოლოზი თეფშზე ხელს აუკრავს.

გუბერნატორი გეკითხება და პასუხი მიეც!

იასე (აუჩქარებლად გადმობნება ნიკოლოზს). დღეს თეფშე ხელს მიკრავ, მაგრამ ხვალ რომ ყველაფერი შეიცვლება და...

ნიკოლოზი. პასუხი-მეთქი, აჯანყებისა რა გადაწყვიტეთ?

იასე (ბრაზით). აღარ იქნება ეგ აჯანყება, რას ჩამაცვიდი!

ნიკოლოზი (სულ სხვა ცნობას ელოდა და სიხარულისგან ლამის სუნთქვა შეეკრას). ეგ როგორ, რანაირად?!

იასე. არ იქნება და...

ნიკოლოზი. როგორ-მეთქი, ჩქარა მიაძბე! გამიგონეთ? შეთქმულებაზე უარი თქვით?

იასე. არა.

ნიკოლოზი. აბა, როგორ!

იასე. მეფისნაცვალს ყველაფერი ვაცნობე და...

ნიკოლოზი. რა აცნობე?

იასე. ყველაფერი. იქნებ, შენც მადლობა მიიღო, რომ ხელმწიფეს ასეთი ერთგული ძმა გაუზარდე.

ნიკოლოზი (თითქოს მეხი დაეცაო, გაოგნებული). კი, მაგრამ... ისა... კარგად ამიხსენი, ვის რა აცნობე, მეფისნაცვალთან რა გესაქმებოდა.

იასე. რა ვერ გაიგე, ნიკოლოზ, ყველაფერი ისე ვქმენ, როგორც შენ გეწადა -- სისხლისღვრა აღარ იქნება.

ნიკოლოზი. მეფისნაცვალი რა კავშირშია-მეთქი, ბარონ როზენთან რა საქმე გქონდა?!

იასე. მაშ, ვისთან უნდა მივსულიყავი, მაშ, ვისთვის უნდა დამეწერა...

ნიკოლოზი. რაპორტი დასწერე?

იასე. როგორც იქნა!

ნიკოლოზი. და ხალხი დააბეზღე?

იასე. ეგ რა ლაპარაკია, გუბერნატორო!

ნიკოლოზი (ლამის აღრიალდეს). ძმები გაჰყიდე?

იასე. ეგრე რად მიბრიალებ თვალებსა. თუ შენ დღეს გუბერნატორი ხარ, ხვალ...

ნიკოლოზი. იუდა! მოძმეთ გამყიდველო, იუდა! ( იღრიალა და ყელში სწვდა იასეს.)  
მოლაღატევე, არაკაცო! (იასეს ქვეშ მოიგდებს, ლამის დაახრჩოს.)

იასე. მომეშველეთ, მომეშველეთ!

**ხანდილა და ვანო მათთვის ერთობ უჩვეულო მოძრაობით – საოცრად სხარტად, გაწვრთნილი ადამიანების სიმსუბუქით განაცალკევებენ ძმებს.**

ნიკოლოზი (მსახურთ მკაცრად მოუბრუნდება). რა ამბავია?

**ხანდილა და ვანო მორჩილად დგანან.**

გარეთ დამელოდეთ.

**ხანდილა და ვანო გადიან ღუმილი. ნიკოლოზი უხმოდ დააბიჯებს.**

იასე (წამოდგება, წელში გაიმართება). ამ დილას ლამის სული ამომართვი, მაგ შეთქმას ნუ იზამთო და ახლა...

ნიკოლოზი (კარგა ხანს უხმოდ ზის). რატომ ჰქენი ეს საქმე, იასე, რისთვის...

იასე. შენი ვერაფერი გამიგია-მეთქი, ამ დილას ლამის სული ამომართვი.

ნიკოლოზი. მე ამაო სისხლისღვრა მინდოდა ამერიდებინა ჩემი ხალხისთვის.

იასე. მერედა, ხომ ავარიდე?

ნიკოლოზი. ღალატით? იუდას საქციელით? მოძმის გაყიდვით?

იასე. განა, შენ მეკითხები, რა და როგორ აკეთო. მეც ღამანებე ჩემი მომავლისა და ბედის გამოჭედა.

ნიკოლოზი (უღონოდ). მომავალი ღალატით უნდა გამოჭედო? შთამომავლობას რა პასუხს აძლევ?

იასე. ვიცოდი, არ გაიმარჯვებდა ჩვენი საქმე, ხელმწიფეს ჩვენ ვერას დავაკლავ-ბდით.

ნიკოლოზი. და ბარელამ ხელსაც მოითბობ? (ღუმილი.) მიპასუხე, იასე, ქვეყანა მაინც იქცევა და მერე რა მოხდა, თუ მე ხელი მოვითბეო? ამას ეტყვი შთამომავლობას?

იასე. ხალხი ამაო სისხლისღვრას ავარიდე-მეთქი, ერი დარბევას გადავარჩინე, დავრწმუნდი, რომ ხელმწიფეს ჩვენ მაინც ვერას დავაკლებდით.

ნიკოლოზი. არა, იასე, ქვეყანა არ დაგიჯერებს მაგას. მეფის ჩინ-მედლები გინდა და ამიტომ ჰქმენი ეგ საქმე. სიმართლე, აი, ეს არის! შენ არც ღმერთი გწამს და არც კაცი! აი, ამიტომ, ჩადგი ფეხი მაგ წუმპეში. რალა ჩემი ძმა გამოდგა გამყიდველი, ერის ზიზღისმომგვრელი, მისი უგვანობის გამო მამაჩემის საფლავს რად უნდა ავინებდნენ!

იასე. თუ ასეთი ნათელმხილველი ხარ, თავის დროზე შესწეოდი მამაშენის შვილსა, ჩინ-მედლებისაკენ ისე მივირბის თვალი, ძმის ყოფაზე არც გიფიქრია. გადავწყვიტე ისევ მე ვუპატრონო ჩემს თავს. კი, შენ მართალი ხარ, მეტსაც გეტყვი, მაგ შეთქმის წევრი იმიტომ გავხდი, რომ მერე ყველაფერი როზენისათვის მეცნობებინა, ერთგულება დამემტკიცებინა. სანამ ვიარო ეგრე უჩინომ, უპატრონომ. ერთი საშოდან ვართ გაჩენილები, და შენ ჩემზე დიდი მბრძანებელი რად უნდა იყო? რისთვის? მეც მინდა რალაცას ვეწიო, ამაყად გავიარო ქუჩა-ფოლორცებში, გუბერნატორის ძმას კი არ მეძახდნენ, არამედ იასეს, თავად იასე ფალავანდიშვილს.

ნიკოლოზი. მერედა, ღალატით გინდა ყველაფერი ეგ მოიპოვო? მოძმეთ გაყიდვით?

იასე. თქვენ ეს ცხოვრება ისე მოაწყვეთ, თუ ვინმე არ ჩაწიხლავ, თუ ვინმე არ გაყიდვ, თუ ვინმეს არ გამოსჭვრი ყელი, თუ ვინმეს ძვლებზე არ შესდევ, ვერაფერს მისწვდები.

**ნიკოლოზი** (წამოდგება, მაგიდასთან მდგარ დიდ შანდალს დაავლებს ხელს). მე, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, შენს მოძმეთ იმდენ ტანჯვას მივაყენებ, გმირებად ვაქცევ. ცდუნებას აპყვნენ, გზიდან გადაგდებას გვიპირებდნენ, მაგრამ ახლა, როცა საშიშროებამ ჩაიარა და შენ მოლაღატის აშშორებული ხალათი არჩიე სამშობლოს თუნდაც ყალბი მხსნელისას, მე შევეცდები ისინი არასოდეს დაივიწყოს საქართველომ, შენ თვითონ აქციე ისინი გმირებად, ხალხს ლეგენდებს შევათხზვევინებ ყოველ მათგანზე, შენ კი — შენ ყველა შეგაჩვენებს... რუსიც, ქართველიც. ყველაზე უწინ კი მე, შენი ძმა! ამიწყევლიხარ, როგორც ძმა, როგორც კაცი და როგორც უღირსი შვილი ჩემი ქვეყნისა! (გასძახის.) ხანდილ, ვანო! (შემოდინ მსახურნი.) ხელმწიფე-იმპერატორის საწინააღმდეგო მოქმედებისა-თვის ახლავე ჩაიყვანეთ და დილეგში ჩააგდეთ ჩემი ძმა იასე ფალავანდიშვილი (იასეს.) შენ დღეს იმიტომ კი არ დაწერე რაპორტი, რომ საქართველოს ამო სისხლისღვრა აარიდე, რომ მეფის ერთგული ხარ, არა, შეგეშინდა, შეგეშინდა ძლევაშოსილი ხელმწიფისა. ნაკვიანები სინანული კი ვერა-რას არგებს ხელმწიფის მოლაღატეს. (ხანდილას და ვანოს.) ეს დილეგში ჩააგდეთ და მაიორ პანინს მიხმეთ, თავისი რაზმით აქ მოვიდეს. სწრაფად! (ხანდილა და ვანო იასესაკენ დაიძრნენ. იასემ ხანჯალი იძრო.)

იასე. არ მომეკაროთ! არ მომეკაროთ, თორემ ყელს გამოგჭრით.

**ფალავანდიშვილი.** გათოკეთ ხელმწიფის მტერი და მოლაღატე.

იასე. არ მომეკაროთ! (გარბის.) განანებ, გუბერნატორო!

**დაბნელება.**

**პროჟექტორ ავანსცენაზე ხანდილას გაანათებს.**

**ხანდილა** (წერს). ბატონ გენერალ-მაიორს კავალერ ბოიკოვს. თქვენს აღმატებულებას წარმოვუდგენ ცნობას ჩემი სამეთვალყურეო სახლიდან: დღეს საქართველოს გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვილის სახლში მოხდა შეკრება და აღმოვაჩინე ხელმწიფის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობდნენ...

**ამ კუთხეში შუქი ქრება.**

**განათლება მეორე კუთხე.**

**ვანო** (წერს). მთავარმართებლის გამგებლობაში მყოფ კორპუსის უფროსს გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის. მოგახსენებთ, რომ აღმოვაჩინე შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავს...

**გადარჩენის ზარების რეკვა და სიმღერა.**

1980-81 წ.წ.

